ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლება

საქართველოს დემოკრატიული პარტიის გაზეთი | 1990 წლის 22 თებერვალი | №21

## საქართველოს დემოკრატიული პარტიის მიერ წამოწყებული საბჭოთა იმპერიის მოქალაქეობის უარყოფის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს-მოპოვებულია პირველი გამარჯვება!



საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც დღეს არსებულ ორგანიზაციებს შორის ყველაზე რადიკალურთა რიცხვს განეკუთვნება, თავისი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად საბჭოთა კავშირის, როგორც ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის, მოქალაქეობის უარყოფა აირჩია. ამ რთულ გზაზე მიღწეულია პირველი გამარჯვება: საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრმა ვაჟა მთავრიშვილმა 1989 წლის II დეკემბერს ოფიციალურად დატოვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა და მიიღო მოქალაქეობის არმქონე პირის დამადასტურებელი საბუთი. ამავე დოკუმენტის მოლოდინშია პარტიის ყველა მუდმივი წევრი და ორასორმოცდაათამდე თვითგამორკვეული ქართველი. მოგიწოდებთ შემოგვიერთდეთ ამ დიდ საქმეში, რადგან ეს ქმედება რეალური ნაბიჯია თავისუფლებისაკენ!



ВИД НА ЖИТЕЛЬСТВО В СССР
ДЛЯ ЛИЦ БЕЗ ГРАЖДАНСТВА

Действителен по 11 декабря 1991 г.

1. Фамилия Мтавришвили
Имя Важа
Отчество Валерьянович
2. Число, месяц и год рождения 3 июня 1950 г.
3. Место рождения гор. Тбилиси
4. Национальность Грузин
5. Гражданство на день прибытия в СССР

БГ № 505079

## მამულიშვილნო!

ამა წლის თებერვლიდან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის 70-ე წელი. 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს ხუთი მხრიდან მუხანათურად დაეცნენ საბჭოთა რუსეთის წითელი ურდოები. მაშინ წითელი არმია 5 მილიონ ჯარისკაცს ითვლიდა, მთელი საქართველოს მოსახლეობა კი ძლივს შეადგენდა ამის ნახევარს. დაიწყო უთანასწორო ომი. საქართველოს დაღუპვა გარდაუვალი იყო, მაგრამ ქართული ჯარი არ შედრკა და პირველ ხანებში ერთგვარი წარმატებაც მოიპოვა. აი რა სწერია საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპეშაში, რომელიც 21 თებერვალს გაეგზავნა მთავარსარდალსა და არმიას:

"დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით გესალმება თქვენ და თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელმაც თავისი თავგანწირული და გმირული ბრძოლით იხსნა სამშობლო მტრის გამხეცებულ ბრბოთა თავდასხმისაგან.

ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებანი მოპოვებული 19-20 და 21 თებერვლის ომებში ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში და ამბები ამ გამარჯვებებისა გადაეცემა მომავალ თაობას, როგორც საზღაპრო მოთხრობა ქართველ მებრძოლთა ძლიერებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალას!

დიდება და სახელი იმათ, ვინც გასწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსათვის და ბრძოლის ველზე დაეცა."

კოჯრის ომში გმირულად დაცემული კაპიტნები: მიხეილ თუმანიშვილი და ნიკოლოზ ზანდუკელი, ლეიტენანტები: აბაშიძე და გრიგოლია, მოხალისე ჯარისკაცი-ნიკოლოზ კალანდარიშვილი, მოწყალების და-მარიამ მაყაშვილი, სტუდენტი - პავლე ბეშქენაძე და სხვანი მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1921 წლის 23 თებერვალს დღის 12 საათზე თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე სამხედრო ტაძრის საძმო სასაფლაოზე მიაბარეს მიწას. საქართველოს დამარცხების შემდეგ ჩეკა სასტიკად დევნიდა მათ, ვისაც ქართველ გმირთა საფლავებზე ყვავილები მიჰქონდა. კომუნისტებს უნდოდათ ხალხისათვის დაევიწყებინათ ამ გმირთა სახელები და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც ამ მიზანს. მათ სამხედრო ტაძარიც დაანგრიეს და ჩვენი გმირების საფლავებიდან ამოყრილ ძვლებზე ააშენეს ამჟამინდელი "მთავრობის" სასახლე.

1989 წლის 9 აპრილს დამპყრობლის არმიამ კვლავ დაანახა საქართველოს თავისი სახე. მათ "სიესით" მოწამლეს და ორპირნალესი სასანგრე ნიჩბებით აჩეხეს ქართველი პატრიოტები. 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა სისხლი პირდაპირ კოჯრის ბრძოლაში გმირულად დაცემულთა საფლავებზე დაენთხა. საქართველომ საბოლოოდ გამოიღვიძა და უფრო მძლავრად დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. დაიდგა 9 აპრილელთა მოსაგონარი ქვა. საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ კი მოიძია კოჯრის გმირთა სახელები და გასული წლის 30 დეკემბერს "მთავრობის" სასახლესთან დადგა მათი მემორიალი.

1921 წლის 21 თებერვლის დამფუძნებელი კრების დადგენილებით საქართველოს ხალხის მოღალატეებად იქნენ შერაცხულნი ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ბ. მდივანი, შ. ელიავა, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე, ო. ფაიქი, ა. ნაზარეტიანი, ა. გეგეჭკორი და ბ. კვირკველია. საქართველოს ეს უღირსი შვილები წინ მოჰყვებოდნენ წითელ არმიას და მათვე გამოაცხადეს შულავერში საქართველოს საბჭოთა "მთავრობა". სწორედ საქართველოს ხალხის მოღალატეებად შერაცხულმა ამ პირებმა, შულავერის "მთავრობამ", საქართველოს ხალხის სახელით 1922 წლის 30 დეკემბერს სეპარატული ხელშეკრულებით შეიყვანეს საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამგვარად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმებაც უკანონოა, რადგან ის დამპყრობლის ხიშტებსა და მოღალატეთა გამცემლობას ემყარება. დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები შეადგენენ შულავერის "მთავრობის" მემკვიდრე და ანგარიშმონაცვლე საბჭოთა მთავრობას - საქართველოს სსრ "უზენაეს" საბჭოს, და კვლავაც ასახელებენ თავს საბჭოთა დეპუტატებად, რათა მოატყუონ საქართველო და გახადონ ოკუპანტის უშუალო მოხელენი. თუ არა ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა, საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარები ბინას ვერ დაიდებდნენ და დამპყრობელი ვერ გაძარცვავდა ჩვენს სამშობლოს.

თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო ! საქართველოს დემოკრატიული პარტია მოგიწოდებთ: აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოთ საქართველოში საბჭოთა არჩევნებს; დასტოვოთ კომუნისტური პარტიისა და მისი ფილიალების რიგები; არ იმსახუროთ წითელ არმიაში; უარჰყოთ სსრ კავშირის მოქალაქეობა; შემოუერთდეთ შეურიგებელი ოპოზიციის რიგებს და შექმნათ პარალელური მმართველობა! ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით შეიტყობთ საქართველოს დემოკრატიული პარტიის მიტინგებზე.

1990 წლის 23 თებერვალს, დღის 12 საათზე, ზუსტად 69 წლის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული პარტია თბილისში, "მთავრობის" სასახლის წინ დაიწყებს საქართველოს ოკუპაციის საპროტესტო მიტინგს. აქვე ჩატარდება სამხედრო ტაძარში დაკრძალულ ქართველ გმირთა პარაკლისი. მოგიწოდებთ ყველას: პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შემოუერთდეთ აქციას!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!


თუ გინდა საქართველოს თავისუფლება ➡ მე-2 გვ.

სოციალ-დემაგოგია ➡ მე-4 გვ.

რა ელის საბჭოთა იმპერიას 1990 წელს? ➡ მე-5 გვ.

საქართველოს თავისუფლების უკანასკნელი დღეები ➡ მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა მთავრიშვილი

# თუ გვინდა საქართველოს თავისუფლება...

ყველასათვის ცნობილია თუ რა მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი სამშობლო. იმ დროს, როდესაც თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიო აყვავებას განიცდის, საქართველო ისეთი იმპერიის კოლონიურ მარწუხებშია მოქცეული, რომელიც როგორც იდეოლოგიურ-პოლიტიკურად, ისე სოციალურ-ეკონომიკურად კრახამდეა მისული.

30 წლის წინათ ხრუშჩოვი აცხადებდა, რომ დავეწევით და გავუსწრებთ აშშ-სო. და დღესაც დგას სახარატო ჩარხები საბჭოთა კავშირში "დიპ"-ის ტიპისა, რომელთაც "დაგონიმ ი პერეგონიმ" ჰქვიათ. თუმცა იგი აცხადებდა, რომ ოც წელიწადში საბჭოთა კავშირი კომუნიზმში შევიდოდა, მაგრამ მას შემდეგ 20 წელიც გავიდა და ოცდაათიც, რეალობა კი ისეთია, რომ ერთი ამერიკული დოლარის ფასი შავ ბაზარზე 40 მანეთია. საბჭოთა მოქალაქეების უმეტესი ნაწილი სიღატაკის ზღვრამდეა მისული, - მისი საშუალო ხელფასი 100-ჯერ ჩამორჩება დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეთა ხელფასებს.

რუსეთში უკვე გაჩნდა რეალისტური ლოზუნგი: " დავეწიოთ და გავუსწროთ აფრიკას". დღეს დიდი რუსეთი ცხოვრების დონით მართლაც ჩამორჩება მესამე სამყაროს ქვეყნებს, ჩვენ კი მისი კოლონია ვართ.

საბჭოთა კავშირის კომპარტიას კარგა ხანს ჰქონდა მხარდაჭერა რუსი მოსახლეობისაგან. ველიკორუსული შოვინიზმით დაბრმავებული უსახლკარობას, უსველ-უჭმელობას, მაღალ სიკვდილიანობას არ დაგიდევდნენ, რადგან იცოდნენ, რომ რუსული შეიარაღება ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, რომ მათ აქვთ მძლავრი, მსოფლიოს დამანგრეველი ატომური იარაღი.

როდესაც 60-იანი წლების ლიდერი გაერო-ს ტრიბუნაზე ფეხსაცმელს აბრახუნებდა და პარანოიკივით გაჰკიოდა, - ყველას დაგმარხავთ,- რუსი ობივატელი სიამაყით ივსებოდა, მაგრამ ძვირად დაუჯდათ ეს სიამაყე. დაიწყო ეკონომიკური დესტაბილიზაცია. ხრუშჩოვმა, რომელიც დემოკრატიის და მშვიდობის მაცნის ნიღაბს იკეთებდა და სტალინის რეაქციული რეჟიმის სააშკარაოზე გამოსატანად იღწვოდა, თვითონ შეუსია ნოვოჩერკასკის მშიერ მოსახლეობას საბჭოთა არმია ტანკებითა და სისხლში ჩაახშო ეკონომიურ ნიადაგზე წარმოქმნილი გამოსვლა.

ხრუშჩოვი რუსეთმა სულელად მონათლა და ბრეჟნევს დაუთმო ასპარეზი. დაიწყო დამყაყების ხანგრძლივი პერიოდი. ამ "დიდმა" რუსმა პრეზიდენტმა ყველაზე მეტი მედალი მიიღო, მისი "ნააზრევის" გამოცემებმა კი მსოფლიოს ყველა დიდი მწერლის წიგნების ტირაჟს გადააჭარბა, ქვეყანა კი ეკონომიკური გაღატაკების ქვემო ზღვარს გასცდა. მაფიის პარპაში და კორუფცია ოფიციალურად იყო დაკანონებული. ამას დაერთო ავღანეთის ხანგრძლივი და ყოვლად უაზრო ომი. იმპერია კი მყაყდებოდა და მყაყდებოდა, რაც დამთავრდა "პრეზიდენტების კატაფალკების რბოლის" პერიოდით.

სამყაროთის სატახტო თვითონაც მიხვდა, რომ ასე გაგრძელება იმპერიის ელვისებურ დანგრევას გამოიწვევდა, ამიტომ ახალგაზრდა, ენერგიული, დიპლომატიური შერმის მქონე საყვარელი გორბი ჩაიყენა სათავეში და იმპერიამ დაიწყო გარდაქმნა. გაჩნდა გარდაქმნის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. ვაღიაროთ, რომ გარდაქმნამ მოგვიტანა ზოგიერთი სიკეთე, მაგრამ მანვე მოგვიტანა ჩვენ 9 აპრილი, სხვებს - სუმგაითი, ფერგანა და ბაქოს ხოცვა-ჟლეტა.

ჩვენ არც გარდაქმნის მომხრენი ვართ და არც მისი მოწინააღმდეგენი, გზა დაგვილოცნია გორბაჩოვის პოლიტიკისათვის რუსეთში ისევე, როგორც ამას დასავლეთი აკეთებს, მაგრამ ის არ უნდა შეეხოს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საქართველოს. ჩვენი ერთადერთი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამავე დროს, მხარს დავუჭერთ მსოფლიოში ყველა დემოკრატიულ, პროგრესულ ძალას, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს იგი.

მაგრამ საქართველო უნდა გათავისუფლდეს სსრ კავშირის კოლონიური მარწუხებისაგან. საქართველო უნდა დაუბრუნდეს მსოფლიო ხალხების ისტორიას, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ეროვნული სახელმწიფო.

ლენინის ოცნების,- მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შესახებ, დედაქალაქით მოსკოვში, განხორციელება სცადეს მისმა მემკვიდრეებმა სტალინმა, ხრუშჩოვმა, ბრეჟნევმა და არც თუ უშედეგოდ - გაჩნდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკი, კუბა ჩრ. კორეა, ვიეტნამი...

დღეს ეკონომიურად შერყეულმა რუსეთმა შეიგნო, რომ მსოფლიოს ვერ დაეუფლება. იგი თმობს აღმოსავლეთ ევროპას, მზადაა დაუშვას გერმანიის გაერთიანება, თუ კი დასავლეთი მას კრედიტს გაუხსნის. სურს სამართლებრივ სახელმწიფოს დაამსგავსოს რუსეთი "დემოკრატიზაციის" ლოზუნგით და დაუშვას ნომინალური დეცენტრალიზაცია ეკონომიკაში, რათა აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების დონემდე მაინც აიწიოს და პირველადი მოხმარების საგნებით მაინც დააკმაყოფილოს გამათხოვრებული და უკმაყოფილო მოსახლეობა. მაგრამ იმისათვის, რომ გორბის პოლიტიკა მართლაც მისაღები იყოს მსოფლიოსათვის და აფრიკას დაეწიოს, მარტო საპონი არ კმარა, დეკოლონიზაციაა საჭირო რადგან ტოტალიტარული სახელმწიფო ვერასოდეს გახდება ერთიანი ორგანიზმი და ვერ მიაღწევს ეკონომიკურ სიძლიერეს.

დასავლეთის პოლიტიკოსები კუბის, ნიკარაგუასთანა და ავღანეთთან დაკავშირებით ხშირად ამბობდნენ, რომ მოსკოვმა რაც წაიღო დასჯეროს, რადგან არსებობს ზღვარი, რომლის იქეთაც დასავლეთმა შეიძლება ომიც დაიწყოსო. ეს დეტანტის პოლიტიკა იყო. ახლა დასავლეთმა პოზიცია შეცვალა და თვით საერთაშორისო სამართლის დამოკიდებულებაც იცვლება სსრკ-ის მიმართ. ხოლო რაც შეეხება საქართველოს და კომუნისტური რუსეთის სხვა კოლონიური ქვეყნების საკითხს თანამედროვე მსოფლიოში, ეს დიდადაა დამოკიდებული თვით ამ ქვეყნების ხალხთა პოლიტიკურ თვითშეგნებაზე და სამართალსუბიექტად წარმოჩენაზე.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია აზრი, თითქოს დასავლეთი და კერძოდ საერთაშორისო სამართალი არ ერევა საქართველოსა და სხვა ოკუპირებული ქვეყნების გათავისუფლებაში, მაგრამ ეს ასე იქნება, სანამ რუსეთის კოლონიები რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამენ დამოუკიდებლობისაკენ.

რუსეთის ყველა კოლონიაში დამყარებულია საბჭოთა ხელისუფლება და ეს ვითომდა პარლამენტური ადგილობრივი მთავრობა კრემლს მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ თავის იმპერიალისტურ ზრახვებს სამართლებრივი დასაყრდენი ჰქონდეს.

ანექსიას, აგრესიას, ოკუპაციას და ყველა სხვა და სხვა ფორმის ძალადობას გმობს საერთაშორისო სამართალი. სიცრუეა ის აზრი, რომ თითქოს საერთაშორისო სამართალში არსებობს გეოპოლიტიკური ქვეტექსტები, რომლის მოშველიებითაც რომელიმე დიდ ქვეყანას შეუძლია მცირე ქვეყნის თუნდაც ფარული ოკუპაცია. სსრ კავშირი გმობს ასეთ ქმედებას და სხვა ქვეყნებს ადანაშაულებს, როდესაც თავად გახლავთ აგრესიის და ძალადობის, პოლიტიკური ძალდატანების საფუძველზეა შექმნილი.

ჩვენ გვახვევენ იმ მოსაზრებას, რომ საერთაშორისო სამართალი არ ერევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობაში. ესეც მტკნარი სიცრუეა და ყველაფრის თავი და თავი ისაა, რომ ნამდვილი, საყოველთაო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სსრკ-ის ტერიტორიაზე ჯერ არ დაწყებულა და არც დაიწყება ვიდრე იარსებებს ცენტრს დაქვემდებარებული ადგილობრივი საბჭოთა მთავრობები.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართალი მხარს არ დაუჭერს სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის ომს, პირიქით,-ამ შემთხვევაში გორბაჩოვისთვის მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციის დაკისრება ურჩევნიათ, რადგან ეს კონფლიქტი შეიძლება ირანსა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებს გადასწვდეს.

მაგრამ თუ ეს ქვეყნები მოითხოვენ დამოუკიდებლობას, ერთმანეთში მორიგდებიან და ერთად გამოთქვამენ მტკიცე სურვილს იყვნენ თავისუფლები, მაშინ ამას მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები დაუჭერენ მხარს.

არდა როგორ უნდა დაუჭიროს მხარი საერთაშორისო სამართალმა ბალტიისპირელებს, რომლებმაც აირჩიეს თავიანთი ადგილობრივი მარიონეტული საბჭოთა მთავრობა და თავს იტყუებენ, რომ ბრაზაუსკასები მათ თავისუფლებას მოუტანენ.

ჯერ-ჯერობით ბალტიისპირეთში არსებობს ურყევი საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არჩეულია ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ. მათი სამართალსუბიექტობა განმტკიცებულია არჩევნებით. ბალტიისპირეთის ადგილობრივი საბჭოური მთავრობები ცნობენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და თავისუფლებას უნდათ მიაღწიონ მხოლოდ ამ კონსტიტუციით. ეს კონსტიტუცია კი სწორედ იმისათვის არის შექმნილი, რომ კოლონიებს დარჩენოდათ სუვერენიტეტის, ან მისი მიღწევის, აბსოლუტურად უსაფუძვლო ილუზია და ვერასოდეს მიეღწიათ რეალური თავისუფლებისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც. საქართველოს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მრავალი აქცია ჩაატარეს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობამ მართლა დააყენა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, ეს მოითხოვა რამდენიმე ნათელმა პიროვნებამ ოპოზიციიდან.

ამას ხელი მოაწერა 150000 კაცმა. ჩატარდა ასობით ათასიანი მიტინგები, რომლებიც მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ყოველივე ეს იყო საქართველოს ხუთმილიონიანი მოსახლეობის უმცირესობის მოთხოვნა.

გორბაჩოვს ჯერ კიდევ შეუძლია სთქვას: საქართველოში ნამდვილად არის ექსტრემისტთა ჯგუფები, რომლებიც მოითხოვენ დამოუკიდებლობას და მათ დიდი-დიდი მხარს უჭერს მოსახლეობის 5%, ხოლო მოსახლეობის 95%-მა კი აირჩია ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში მოსახლეობის 95%-ის სრული მხარდაჭერით ვაშენებთ სოციალიზმსა და ვაგრძელებთ გარდაქმნასო.

დღეს მართლაც ერთად- ერთი იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს ილაპარაკოს საქართველოს მთელი მოსახლეობის სახელით,- ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლებაა, რომელიც ფლობს ამომრჩეველთა მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ რაიმე იმედების დამყარება იმაზე, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, აბსურდია. ისინი საქართველოს ხალხის წარმომადგენელი იურიდიული პირის სტატუსს ფლობენ მხოლოდ საკავშირო მასშტაბით. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს საქართველოს მოსახლეობის სახელით შეუძლია საკითხების დაყენება მხოლოდ კრემლის წინაშე. მას შეუძლია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხიც დააყენოს კრემლის წინაშე, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კრემლი არ იქნება ამ საკითხის წინააღმდეგი.

მაგრამ ამხ. გუმბარიძე ვერ გამოვა საერთაშორისო სარბიელზე, როგორც საქართველოს ხალხის წარმომადგენელი, იურიდიული პირი. მაგალითად ის ვერ განაცხადებს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში ან ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა ან მათი უმრავლესობა მოითხოვს თავისუფლებას. ასეთი განცხადება მან შეიძლება გააკეთოს როგორც კერძო პირმა და არა როგორც სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტმა, რადგან გაეროსთვის არ არსებობს სუვერენული საქართველო. არსებობს მხოლოდ არასუვერენული ქართული რეგიონი სსრ კავშირის ფედერაციაში.

საერთაშორისო სამართლის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არა აზრის ფორმით, არამედ ერის საყოველთაო გადაწყვეტილების სახით შეუძლია მხოლოდ ერის დიდ უმრავლესობას ან მათ მიერ არჩეულ სრულუფლებიან წარმომადგენლებს.

მოგეხსენებათ, ბალტიისპირეთის ქვეყნებს დღემდე ჰყავთ თავიანთი სიმბოლური მთავრობები იმიგრაციაში. ამასთან ერთად დასავლეთი აღიარებს, რომ ბალტიისპირეთი 1940 წელს ოკუპირებული იქნა სსრ კავშირის მიერ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ფაქტი 50 წლის წინათ მოხდა განეკუთვნება ისტორიის საკითხს და ვერ ჯდება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის სფეროში. მაშ, რომელი ფაქტი, ან ფაქტები, შეიძლება გახდეს მსოფლიო პოლიტიკის სფეროსათვის საცნობი? ვპასუხობთ:

ბალტიისპირეთის რომელიმე, რესპუბლიკის მოსახლეობამ უარი რომ განაცხადოს სსრ კავშირის მოქალაქეობაზე, ბოიკოტი გამოუცხადოს საბჭოთა არჩევნებს და თავისი არჩევნებით მთავრობად გამოაცხადოს თეთრი ემიგრაციული ან ალტერნატიული ადგილობრივი მთავრობა; რომ შეიქმნას თუნდაც დროებითი არასამთავრობო მაგრამ დეკოლონიზაციის საკითხში სრულუფლებამოსილი რაიმე პოლიტიკური ერთეული, რომელიც მოახდენდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარირებას, აი, ამგვარ შემთხვევებში საერთაშორისო სამართალი აუცილებლად ჩაერეოდა და მიიღებდა კიდეც გადამჭრელ ზომებს, რაც ამ კოლონიურ ქვეყანას რეალურ და დაუყოვნებლივ დამოუკიდებლობას მოუტანდა.

ამის ნაცვლად ბალტიისპირეთის ქვეყნების და საქართველოს მოსახლეობა თავის ნებით და ყოველგვარი პირდაპირი ძალდატანების გარეშე რჩებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად და ირჩევენ ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მათი მცდარი აზრით შეიძლება იბრძოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ასე კი არამც თუ საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ მივაღწევთ, არამედ თვით ჩვენი ეროვნებაც კი ნომინალური იქნება.

მოგეხსენებათ, საქართველოში დღეს გორბაჩოვს ჰყავს 5 მილიონზე მეტი საბჭოთა კავშირის მოქალაქე. მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული პარტიის რამდენიმე ათეულმა მუდმივმა წევრმა და საქართველოს თვითგამორკვეული მოსახლეობის ლიგის 200-მდე წევრმა განაცხადა უარი სსრ კავშირის მოქალაქეობაზე, დანარჩენები კი მრავალი გამოცდილი და ამაგიანი ოპოზიციონერის ჩათვლით ნებაყოფლობით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე რჩებიან სსრ კავშირის მოქალაქეებად. როგორ შეიძლება ილაპარაკონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვითო, როცა მათ გორბაჩოვთან, იაზოვთან, როდიონოვთან და სხვებთან ერთად ერთიანი სამშობლო გააჩნიათ - სსრ კავშირი.

დამოუკიდებლობისათვის აუცილებელია საქართველოში ცხოვრობდნენ ჯერ ისეთი ქართველები, რომლებიც სიმბოლურად კი არა, საერთაშორისო სამართლით ჩაითვლებიან რეალურ ქართველებად და არა 500 მანეთის ღირებულების მქონე სსრ კავშირის მოქალაქედ.

საქმე ის არის, რომ საერთაშორისო სამართლის წინაშე საქართველო დღეს წარმოდგენილია როგორც ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციის არასუვერენული ნაწილი, ისევე როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე შტატი. საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას დღეს აქვს სსრ კავშირის და არა საქართველოს მოქალაქეობა, პოლიტიკურად და იურიდიულად მათ სამშობლოდ ითვლება არა საქართველო, არამედ სსრ კავშირი მთლიანად და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ არასახარბიელო და უპერსპექტივო მდგომარეობაში იმყოფება. ეს ძალიან ჰგავს ამერიკული "პანკების" მოთხოვნას ჯორჯიის შტატის დამოუკიდებლობა რომ სურდათ ფედერალური ხელისუფლებისაგან. რა თქმა უნდა, თუ ჩვენ კარდინალურად არ შევცვლით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახეს და რეალურად არ ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ბრძოლა დარჩება ღაღადად უდაბნოსა შინა. მსოფლიოს პოლიტიკური წრეები ყურადღებას მხოლოდ მაშინ მოგვაქცევენ როცა წითელი არმია კვლავ სასანგრე ნიჩბებით აგვჩეხავს, რადგან ეს იქნება ადამიანის უფლებების დარღვევა და ისევ, არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

იმისათვის რომ საერთაშორისო სამართალმა დაიცვას ჩვენი ეროვნული უფლებები, ჩვენ უნდა წარმოვჩინდეთ ერად, როგორც სამართალ-სუბიექტი. მანამდის კი ყოველთვის განგვიხილავენ ქართველებად წოდებულ ერთ-ერთ საბჭოთა ეთნიკურ ჯგუფად არარეალურ ეროვნულ ერთეულად, ხოლო ჩვენს მოძრაობას ეთნიკურ ამბიციად და არარეალურ პოლიტიკურ ბრძოლად ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალზედ მძიმე პირობებში უწევს იმ პოლიტიკური გზის გაკვლევა, რომელიც საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს, მაგრამ თითქმის ვერასოდეს ვერ მიაქვს ეს აზრი ხალხის ფართო მასებამდე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ჯერ-ჯერობით კრემლს და მის მარიონეტებს აქვთ სრული მონოპოლია. ოპოზიცია მხოლოდ მიტინგებზე და მცირეტირაჟიანი არაპერიოდული თვითგამოცემებით თუ ახერხებს ხალხამდე ხმის მიწვდენას და აქაც ხან გვარბევენ და ხანაც იმდენ პროვოკატორს გვიყენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნებთან, რომ ხალხამდის სიმართლე ჯერ ვერ მიდის.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ზოგ ორგანიზაციებში გავრცელებულია მცდარი აზრი თითქოს საქართველოს თვითგამორკვევის აქტით 1918 წლის 26 მაისს მოხდა ქართველი ერის თვითგამორკვევა და ერს თვითგამორკვევა კი არა, მხოლოდ განთავისუფლება სჭირდება, რისი საფუძველიც ისტორიული სამართლიანობა უნდა გახდესო.

სამწუხაროდ საქმე სხვაგვარადაა. 1918 წელს მართალია მოხდა ერის თვითგამორკვევა, მაგრამ საქართველო ისევ დაიპყრო რუსეთმა და ერს დააკარგვინა სუვერენული ერის ყველა პოლიტიკური ნიშანწყალი. 1922 წელს საქართველო შეიყვანეს სსრ კავშირის შემადგენლობაში და შემოიღეს ერთიანი საბჭოთა მოქალაქეობა. 70 წლიანი საბჭოური ცხოვრების შემდეგ საქართველოს ნამდვილად სჭირდება ჯერ თვითგამორკვევა და შემდეგ პოლიტიკურ ეროვნული თვითგამორკვევის ერთადერთი გზა - სსრ კავშირის მოქალაქეობის ოფიციალური უარყოფა, რათა განვთავისუფლდეთ იმ მდგომარეობისაგან, რითაც დაგვავიწყეს, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა და რომლითაც ჯერ-ჯერობით იძულებული ვართ დავიცვათ ვითომდა ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირი, ანუ რუსეთის კომუნისტური იმპერია.

საქართველოს თავისუფლებისათვის რეალური ბრძოლა, რა თქმა უნდა, მყისიერად არ მოხდება და მას ექნება ეტაპები, მაგრამ ამ განცხადებას არაფერი საერთო არ აქვს ჩვენი ოპონენტების მცდარ კონცეფციისაგან, რომლითაც ისინი ამტკიცებენ, რომ საჭიროა რაღაც ეტაპები და შემდეგ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ინ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება

და დაიწყოს დღესვე და თვით ეს ბრძოლა უნდა დაიყოს ეტაპებად.

პირველი, როგორც აღვნიშნე, უნდა იყოს ერის პოლიტიკური თვითგამორკვევა. საქართველოს ყველა მაცხოვრებელმა უნდა უარყოს სსრ კავშირის მოქალაქეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავად გახდება საკუთარი სამშობლოს და საკუთარი თავის ოკუპანტი.

შემდეგი ეტაპია საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი, რადგან კრემლმა საქართველო მარტო იარაღით კი არ დაიპყრო, არამედ შექმნა ადგილობრივი მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება, რომლის სახით ჰყოლიობს ქართველი ხალხის სახელით მოლაპარაკე მონამორჩილ იურიდიულ პირს.

საქართველოს ანექსია სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული პარლამენტის გაუქმებას და საბჭოების შექმნას ეყრდნობა.

საქართველოში დიდი ხანია გაჩნდა მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ ამ აზრის რეალიზება არ ხერხდება, რადგან ათასი რჯულის პროვოკატორი ან უბრალოდ, პოლიტიკურად არაკომპეტენტური პირები ანდა, თუნდაც, შემცდარი პატრიოტები ერს მიაქანებენ ნებისმიერი სხვა მიმართულებით და აშორებენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ხალხს უნდა თავისუფლება, მაგრამ არ იცის ვის დაუჯეროს, ვის მიჰყვეს, რომელი გზა მიიყვანს მას თავისუფლებამდე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კომუნისტური პარტია აცხადებს: ვართ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალაო. საქმეში ჩახედულ კაცს არაფერი არ უნდა გაუკვირდეს, - კომუნისტები ადვილად იტანენ კრიტიკას - მეტიც, პირს იქაფებენ და თავად აკრიტიკებენ საკუთარ თავს, ოღონდ ისე, რომ კიდევ უფრო მეტი დივიდენდები მოიპოვონ და ქართველ ერს კიდევ უფრო მაგრად დაადონ რუსეთის კომუნისტური იმპერიის მონობის ბორკილები. ნურც ის გაგაკვირვებთ რუსთაველის გამზირზე თუ კვლავ გამოჩნდებიან სპეცრაზმები და ურას ნაცვლად იყვირებენ გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო და ისევ აგვჩეხავენ სასანგრე ნიჩბებით.

იმისათვის რომ კრემლმა თავიდან აიცილოს საქართველოში ეროვნულ- განმანთავისუფლებელი მოძრაობა, თავისი მარიონეტების მეშვეობით გვთავაზობს საქართველოს თავისუფლებისათვის ე.წ. პარლამენტური ბრძოლის გზას. ერთი სიტყვით, **გვეუბნებიან აირჩიეთ ადგილობრივი საბჭოებიო.**

რა ჯობია პარლამენტს და პარლამენტურ ბრძოლას, მაგრამ არის კი ქართული პარლამენტი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო? კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული პარლამენტი სწორედ საბჭოებმა გააუქმეს. პარლამენტარიზმის ერთად-ერთი მტერი სწორედ საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებაა. საქართველოს პარლამენტმა, დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვლის დადგენილებით საქართველოს ხალხის მოღალატედ გამოაცხადა შულავერში შექმნილი საქართველოს საბჭოთა მთავრობა. ეს განაჩენი საბოლოოა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, - შულავერში შექმნილი მთავრობა თუ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო - იყო და დარჩება საქართველოს მოღალატედ, როგორი სახელობითი ტრანსფორმაციაც არ უნდა განიცადოს მან. ჩვენ ვერც იმით ვერ უნდა მოგვატყუონ, რომ ამ გამცემლურ საბჭოში ჩვენთვის საყვარელი და ავტორიტეტული პიროვნებები აგვარჩევინონ.

საქმე ის **კი** არაა ვის ავირჩევთ, არამედ ის, თუ სად ავირჩევთ და რა ფუნქცია დაეკისრებათ მათ. საბჭოთა დეპუტატად არჩეული ნებისმიერი ქართველი, რაოდენ საყვარელიც არ უნდა იყოს ჩვენთვის, გახდება სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძისა და სხვათა მოღალატეთა საქმის უშუალო მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელი. ვინაიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას აკისრია ერთადერთი ფუნქცია, - შეინარჩუნოს რუსეთის ტოტალური იმპერია, მორჩილებაში მოიყვანოს საქართველოს მოსახლეობა, სამართლებრივი საფუძველი მისცეს საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნას.

ვინც არ უნდა იყოს არჩეული საბჭოთა დეპუტატად საქართველოდან, რაოდენ უმწიკლო და პატიოსანი ადამიანიც არ უნდა იყოს იგი, არჩევისთანავე ერის პოლიტიკური მოღალატეა. აქ მე შემიძლია შემდეგი მაგალითი მოვიყვანო: ჩვენი სახელოვანი კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის ავტორიტეტი აქვს და ალბათ ყველა ქართველს უყვარს, არჩეულია საბჭოთა დეპუტატად. მან ყრილობაზე წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის დაწესების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ბატონ თ.აბულაძე მოსკოვში წარმოდგენილი იყო როგორც საქართველოს **დეპუტატი** და ეკისრებოდა საქართველოს პოლიტიკური ინტერესების უფლებამოსილება. საბოლოოდ ფაქტი ასეთია; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დეპუტატმა ამ საკითხის წინააღმდეგ გაილაშქრა და ხმაც კონსტიტუციური ზედამხედველობის საწინააღმდეგოდ მისცა, როგორც მოსალოდნელი იყო მოექცა უმცირესობაში და **საბოლოოდ** კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონი მიღებულ იქნა საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით. ე.ი. მიღებულ იქნა კანონმდებლობითი აქტი, რომელიც სავსებით გამორიცხავს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას. ამაზე უარესი აბა რაღა უნდა გაუკეთოს კაცმა საქართველოს?! ქართველ საბჭოთა დეპუტატთა ცოდვა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ თავიანთი დეპუტატობისას ვერ გამოიჩინეს უნარი და მამულიშვილობა, არამედ იმაში, რომ თავს იდეს უმძიმესი ტვირთი, - და მპყრობლის მიერ შექმნილ მმართველობით საკანონმდებლო ორგანოებთან ერთად მიიღონ და გადასწყვიტონ კანონი საქართველოს მოსახლეობის სახელით. ეს საკითხები კი ყოველთვის საქართველოს საზიანოდ გადაწყდება. ერთადერთი გამოსავალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების იურიდიული ძალმოსილების გაუქმება და საბჭოთა არჩევნების ბოიკოტია.

საქართველოს მოსახლეობას დღეს დამოუკიდებლობა სურს. თუ საქართველოს საბჭოთა მთავრობას ექნება პრეტენზია წარმოადგინოს საქართველოს მთავრობას, მაშინ მან უნდა გამოხატოს ხალხის ინტერესები, ე.ი. პირველ რიგში უნდა დანაშაულებრივად გამოაცხადოს და გააუქმოს 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება, რომელიც ერის მოღალატეებად შერაცხულმა პირებმა დადეს რუსეთთან.

რა თქმა უნდა, ისინი ვერც შეასრულებენ იმ მისიას, რაც მათ ერისაგან მოეთხოვებათ. მათი დანიშნულება საქართველოს სუვერენიტეტის გადარჩენა კი არა, ამ სუვერენიტეტის მოსპობაა. ამიტომ შექმნეს ისინი. საქართველოს სუვერენიტეტი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ ადგილობრივ კანონებს, მათ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა; საქართველოს მიწა-წყალს, მის საჰაერო სივრცეს უნდა იცავდეს საქართველოს შეიარაღებული ძალები და უცხო ქვეყნის ჯარმა აქეთ ფეხიც ვერ უნდა შემოდგას; საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფულის ერთეული; ქვეყანას უნდა განაგებდეს აბსოლუტურად დამოუკიდებელი მთავრობა და არა მტრის ისეთი მარიონეტული "მთავრობა", როგორიც საქართველოს საბჭოთა მთავრობაა.

ქვეყნის სუვერენიტეტის ამ ძირითადი ნიშნების დაცვის გარეშე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კოლონიურ რეჟიმზე და არა სუვერენიტეტზე.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა შეიძლება მხოლოდ ერის პოლიტიკური თვითგამორკვევის, საბჭოთა ხელისუფლების იურიდიული გაუქმების, ერის პოლიტიკური ნების გამომხატველი იურიდიული პირის წარმოჩენის შემდეგ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სახელით მოახდენს 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსირებას. იგი საქართველოს გამოაცხადებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელიც მოითხოვს საქართველოდან სსრკ-ის საოკუპაციო ჯარების გაყვანასა და 70 წლიანი აგრესიისათვის რეპარაციებს და რესტიტუციებს /ზარალის ანაზღაურებას/.

აი გზა დამოუკიდებლობისაკენ. ახლა განვსაზღვრავ ამ პროცესის დეტალებს და ტექნიკურ მხარეს.

I. ერის თვითგამორკვევა.

საქართველოს მოსახლეობამ და მისმა იურიდიულმა პირმა უარი უნდა განაცხადონ სსრ კავშირის მოქალაქეობაზე. სხვაგვარად ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რომ საქართველო ოკუპირებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება ჩვენთვის უზენაესად დარჩება და თუ წითელი არმია კვლავ დახოცავს ქართველ პატრიოტებს, კრემლს ექნება საფუძველი განაცხადოს, რომ მან დამსჯელ სანქციას მიმართა საკუთარი ხალხის მიმართ /ეს კი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ჩაითვლება სსრ კავშირის საშინაო საქმედ, ისევე როგორც ეს მოხდა 1989 წლის 9 აპრილს/.

საქართველოს დემოკრატიულ პარტიას უკვე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და უკვე შექმნილია ჩემს მაგალითზე პრეცედენტი იმისა, რომ სსრ კავშირის პირობებში შესაძლებელია სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფა. მაგრამ მე მომიხდა ხანგრძლივი, პიროვნული, მძიმე ბრძოლა სსრ კავშირის მოქალაქეობიდან თავის დასახსნელად, რაც მთელი ერისათვის თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ამ პროცესის ჩასატარებლად უნდა შევქმნათ საკუთარი, უფრო მარტივი და სამართლიანი, მექანიზმი /ბლანკი/, რომლითაც საქართველოს მთელი მოსახლეობა ადვილად მოახდენს პოლიტიკურ თვითგამორკვევას. ეს ბლანკი უნდა იყოს კომპლექსური და სსრ კავშირის მოქალაქეობის უარყოფის გარდა უნდა მოიცავდეს სხვა მომენტებსაც.

2. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების იურიდიული გაუქმება უნდა მოხდეს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური დაუმორჩილებლობით და საბჭოური არჩევნების ბოიკოტის გზით.

საბჭოური არჩევნების ბოიკოტი იყო ის ძირითადი ნიშანი და პირობა, რომლითაც "საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" ვღებულობდით სხვა და სხვა ოპოზიციურ ორგანიზაციებს. ამგვარად, საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი გამოიკვეთა კიდეც საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძირითად პოზიციად, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოში იმყოფება საოკუპაციო ჯარი, როცა ქვეყანაში მთავრობის სახით ფიგურირებენ ადგილობრივი ვიშები და კვისლინგები, როცა მათ შექმნილი **აქვთ თავიანთი, საბჭოთა,** ხელისუფლება, როცა საქართველოში მოქმედებს დამპყრობლის საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის სახით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზეც, - ტელევიზიაზე, რადიოსა და პრესაზე, - მონოპოლიას ფლობს საბჭოთა ხელისუფლება, ეროვნულ მოძრაობას არ შეუძლია მყისიერად მიაწვდინოს ხმა საქართველოს მთელ მოსახლეობას /მარიონეტულ საბჭოთა ხელისუფლებასკი ამის საშუალება აქვს/. ამიტომ - მაც მოაწყო საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ - ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ /დემოკრატებისა/, - 1989 წლის 25 სექტემბერს საპროტესტო აქცია, რომელიც დარბეული იქნა.

საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი და, მით უმეტეს, ალტერნატიული არჩევნები, ალბათ, მყისიერად არ მოხერხდება, მაგრამ ამის გამო გული არ უნდა გავიტეხოთ. ჩვენ გვრჩება კიდევ ერთი სვლა საქართველოს სამართლებრივი განთავისუფლებისათვის. დაწყებული 1990 წლის 23 თებერვლიდან 26 მაისის ჩათვლით საქართველოს დემოკრატიული პარტია იწყებს დიდ აქციას და მოუწოდებს ყველა იმ პოლიტიკურ თუ ეროვნულ ორგანიზაციას, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს განთავისუფლებას, პარიტეტული მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ ეროვნულ-პოლიტიკურ ღონისძიებაში.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ჩვენ ერთ დღეში ვერ მოვახდენთ საბჭოთა არჩევნების ბოიკოტს, მოგიწოდებთ დავიწყოთ სამ თვიანი პროცესი, **რომლითაც** არჩევნების ბოიკოტთან ერთად გამოვიწვევთ საბჭოთა დეპუტატებს.

ე.ი. უნდა შეიქმნას საქართველოს თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის აღმსრულებელი კომიტეტი, რომელიც პროცესს აწარმოებს ორი ძირითადი ბლანკის მეშვეობით. ესენია ფორმა №I და ფორმა № 2.

---

საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის ამომრჩევლისა და მოქალაქის ფ ო რ მ ა № 1

სახელი ______ გვარი ______ მამის სახელი ______

მისამართი ______ ტელეფონი ______

დაბადების წელი და ადგილი ______

ეროვნება ______

საქართველოში ვცხოვრობ ______ წლიდან

1. ვინაიდან ვარ საქართველოს შვილი და ჩემს სამშობლოდ მივიჩნევ საქართველოს, ხოლო სსრ კავშირს საქართველოს მაოკუპირებელ ქვეყნად, უარს ვაცხადებ სსრ კავშირის მოქალაქეობაზე და მოვითხოვ საქართველოს მოქალაქეობას.

2. ვინაიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას ვუცხადებ უნდობლობას და მას არ მივიჩნევ საქართველოს კანონიერ მთავრობად, დეზავუირებას ვუცხადებ და უკან ვიწვევ საბჭოთა დეპუტატ

სახელი ______ გვარი ______ მამის სახელი ______

მოვითხოვ № ______ საარჩევნო ოლქის გაუქმებას და ამ ოლქში დასახელებული ყველა დეპუტატობის კანდიდატის გვარის მოხსნას.

3. მოვითხოვ რა საქართველოს დეკოლონიზაციას, ერის თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩვენი პოლიტიკური და სამოქალაქო ინტერესების წარმომადგენლად ვასახელებ საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის აღმასრულებელ მთავარ და რეგიონალურ კომიტეტებს.

ამ უფლებამოსილებას მათ ვაძლევ საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის აღმასრულებელ კომიტეტის წევრობის ფორმა №2-ში გათვალისწინებული პირობების შესრულების ვალდებულების თავზე აღებისა და ასრულების შემთხვევაში.

ხელმოწერა

თარიღი

---

საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის საანკეტო ფ ო რ მ ა № 2

შევდივარ რა ს.მ.თ.დ.დ.ა.კ.-ში:

მე ______ სახელი ______ გვარი ______ მამის სახელი

1. უარვყოფ სსრ კავშირის მოქალაქეობას და ჩემს ერთადერთ სამშობლოდ ვაცხადებ საქართველოს, რომლის ინტერესებიც უნდა გამოვხატო, როგორც საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენელმა იურიდიულმა პირმა.

2. ვალდებულებას ვღებულობ, რომ:

ა) იურიდიული პირის უფლებამოსილების მიღებისთანავე საქართველოს მოსახლეობის სახელით დენონსირებულად გამოვაცხადებ **1922** წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებას სსრ კავშირში შესვლისა და ყოფნის შესახებ;

ბ) საქართველოს გამოვაცხადებ თვითგამორკვეულ, ოკუპირებულ ქვეყნად და მოვითხოვ საქართველოდან სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობის გაყვანას. ამ ჯარების საქართველოში დარჩენას ან საომარ მოქმედებას - მსოფლიოს წინაშე გამოვაცხადებ საქართველოს აგრესიად;

გ) უკომპრომისოდ ვიბრძოლებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გაუქმებისათვის და საქართველოს საკუთრებად გამოვაცხადებ საქართველოს მიწა-წყალს, ბუნებრივ სიმდიდრესა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა მატერიალურ ღირებულებას (გარდა უცხოურისა);*

დ) ყოველივე ამას გამოვაცხადებ დაუყოვნებლივ, როგორც საქართველოს იურიდიული პირი და ხალხის მიერ სრული უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელი;

ე) საქართველოს დეკოლონიზაციის მიღწევისა და სუვერენიტეტის აღდგენისთანავე გამოვაცხადებ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ჩავატარებ დემოკრატიულ არჩევნებს და ჩემს უფლებამოსილებას გადავაბარებ საქართველოს კანონიერ მთავრობას.

ხელმოწერა

თარიღი

* უცხოურში არ იგულისხმება დღევანდელი სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები

დასასრული

მე-4 გვერდზე

დასასრული

ჩვენ ამ პროცესში ოპოზიციური პარტიების და ორგანიზაციების გარდა უნდა ჩავაბათ მოსახლეობის ფართო მასები, ყველა აქტივისტი ვინც მზად არის ერის თავისუფლებისათვის რამე იღონოს.

საქართველოს დემოკრატიული პარტია იტოვებს მხოლოდ საინიციატივო და სამეთვალყურეო უფლებას და ფორმა №2-ის მიხედვით შეადგენს აღნიშნულ კომიტეტს, რომელშიც დაასახელებს თავის რამდენიმე წარმომადგენელსაც.

ჩვენ უნდა ჩამოვიაროთ საქართველოს მთელი მოსახლეობა, უნდა მივიდეთ ყველა სახლში და ყველა ოჯახში. ეროვნული თვითგამორკვევისა და საბჭოთა ხელისუფლების დეზაუირებისა და ალტერნატიული, იურიდიული, პირის წარმოჩენა უნდა მოხდეს ფორმა №I-ის შევსებით. როგორც კი ჩვენ შევაგროვებთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ხელმოწერილ ფორმა №I-ს, საქართველოში უზენაესი კანონმდებლის, -საქართველოს მოსახლეობის, -ნებით იურიდიულად გაუქმებული იქნება საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა არჩევნებიც ბოიკოტირებული იქნება, მიუხედავად იმისა, ისინი მანამდე ჩაატარებენ თუ არ ჩაატარებენ ამ არჩევნებს.

ამასთან ერთად ჩვენ მოვახერხებთ ალტერნატიული არჩევნების უფრო პრაქტიკული გარანტიის განხორციელებასაც.

კვლავ ვიმეორებ, რომ მთავარი ის კი არ არის ვის ავირჩევთ, არამედ ის თუ რა სტრუქტურაში ავირჩევთ დეპუტატებს და რა ფუნქცია დაეკისრებათ მათ.

აქედან გამომდინარე ყველა საკითხი მოგვარდება.

ს.მ.თ.დ.ა.კ-ში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველამ ვინც ფორმა №2-ის პირობებს შეასრულებს, მათ შორის მათაც ვისაც ჩვენ საბჭოთა არჩევნებში ბოიკოტს ვუცხადებთ.

საქართველოს დემოკრატიული პარტია, როგორც ინიციატორი და მეთვალყურე, მიუკერძოებლობის პრინციპით და მხოლოდ აღნიშნულ ფორმაზე დაყრდნობით მოაგვარებს ს.თ.დ.დ.ა.კ-ის შემადგენლობის დაკომპლექტების საკითხს.

ს.თ.დ.დ.ა.კ-ში პირველ რიგში შესვლის უფლება მიეცემა საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტის იმ წევრებს, რომლებიცვალდებულებას აიღებენ შეასრულონ ფორმა №2-ის პირობები და მათ შემდეგაც იგივე პირობით დაკომპლექტდება ამ კომიტეტის დანარჩენი შემადგენლობაც. ყველა იმ დეპუტატს, რომლის კომპეტენტურობაც ეჭვს არ გამოიწვევს, ფართო გზა მიეცემა ამ კომიტეტში.

საქართველოს თვითგამორკვევის და დეკოლონიზაციის აღმსრულებელ კომიტეტში დემოკრატიული მექანიზმებით და შიდა არჩევნებით უნდა შეიქმნას ცენტრალური და რეგიონალური კომიტეტები.

საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევისა და საქართველოს დეკოლონიზაციის კომიტეტი ამომრჩეველთა მანდატების უმრავლესობის მიღებისთანავე იქცევა საქართველოს რეალურ ორგანოებით მოავრობად. ვინაიდან ამომრჩეველთა მანდატები გადავა ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ის ხელში, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ავტომატურად გაუქმდება. ყოველივე ეს მოხდება საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით და საქართველოს ამგვარი დეკოლონიზაციის ფაქტი საერთაშორისო სამართლისათვის დეფაქტოსთან ერთად დეიურეაც იქნება ცნობილი ვინაიდან ყველა ერისა და ყველა ქვეყნის უზენაესი კანონმდებელი მისი მოსახლეობაა.

ს.მ.თ.დ.ს.დ.კ -იქნება წინასწარ დასახული მოქმედების პროგრამა, რომლისგანაც ის ვერ გადაუხვევს და თუ გადაუხვევს დაჰკარგავს ძალმოსილებას. ამიტომ ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ში შესულ ყველა პირს თავისთავად ექნება ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ს პროგრამის და ნმდვილი პროგრამა. სხვადასხვაო ეს კანდიდატები ერთ მოვიდებიან და თუ შემდეგ გადაუხვევენ მოქმედების გზიდან, დასტოვებენ ამ კომიტეტს. ამიტომ ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ი იძლევა სრულ შესაძლებლობას ეროვნული ძალების სრული კონსოლიდაციის. საბჭოთა დეპუტატები, რომელთა არჩევაც სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია საბჭოთა საარჩევნო სისტემაში მიუხედავად მათი პირადი ღირსებებისა, თავისუფლად შეიძლება დასახელდნენ ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ის კანდიდატებად.

მე ზემოთ მოვიყვანე საბჭოთა დეპუტატ თენგიზ აბულაძის მაგალითი და აღვნიშნე, რომ მისი მგზნებარე თავგამოდება საბჭოთა სტრუქტურაში მოქცევის გამო იქცა კონკრეტულ კოლაბორაციონიზმად, მაგრამ თუ ის ღირსეული ადამიანი და მისი კოლეგები იმოღვაწებენ ს.მ.თ.დ.ს.დ.კ-ში და ისინი თავის ავტორიტეტს და უნარს მოახმარენ ერის პოლიტიკურ ინტერესებს და არა დამპყრობლის ინტერესებს, ჩვენ მათ დიდი სიხარულით მივეგებებით.

აი რეალური გზა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, გზა პირდაპირი და უცილო გზა მშვიდობიანი პოლიტიკურ-სამართლებრივი ბრძოლისა, გზა ერის პოლიტიკური თვითგამორკვევისა და გზა ჭეშმარიტი პარლამენტარიზმისა. ამ გზას დღევანდელ სინამდვილეში არ აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს ალტერნატივა.

თუ ქართველი ერი არ დაადგება ამ გზას, მაშინ ერს მოელის ორ ძირითად ნაწილად გახლეჩა და ორ ჩიხში შესვლა.

პირველი, ისინი ვინც პარლამენტურ გზას ასახელებენ, საბჭოეში მონაწილეობას, ერს შეიყვანენ თავისუფლებისათვის პარლამენტური ბრძოლის ილუზიისა და რუსეთის კომუნისტური იმპერიისადმი ხანგრძლივი მორჩილების ჩიხში.

მეორე, რომლებიც გამორიცხავენ თვითგამორკვევას, არჩევნებზე დაფუძნებულ პარლამენტარიზმს და, საერთოდ, არ ითვალისწინებენ სამართლებრივ- პოლიტიკური ბრძოლის ძირითად მომენტებს, ერს პირდაპირ მიიყვანენ თუს ჯარისკაცებს სათელად. დესტაბილიზაცია დესტაბილიზაციისთვის სრულიად მიუღებელია საქართველოსათვის. ოხლოკრატია ჩვენ ვერამც თუ ვერ მიგვიყვანს თავისუფლებამდე, არამედ პირიქით გააუარესებს ჩვენს მდგომარეობას და დაგვაყენებს უაზრო სისხლისღვრისა და დამპყრობლისაგან საერთაშორისო სამართლით განუკითხავი ანგარიშსწორების წინაშე.

ერისათვის ერთიანად მიუღებელია, როგორც საბჭოური ასევე ოხლოკრატიული გზა. საქართველოდან პოლიტიკური პრობლემების წინაშე და ერი თავისი კოლონიური სტატუსისაგან შეიძლება განთავისუფლდეს მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის გზით, რასაც ამჟამად გთავაზობთ. ის გზა ჩვენ უთუოდ მიგვიყვანს თავისუფლებამდე, მიგვიყვანს მაშინ, როცა ამ პროგრამას განვახორციელებთ.

თავისუფლებას დამოუკიდებლობის მიღწევით ვერ მივიღებთ. აბა დაფიქრდით, -რას მოვითხოვთ და ვისგან მოვითხოვთ. დამოუკიდებლობა კი არ უნდა მოვითხოვოთ, არამედ უნდა მოვიპოვოთ. ეს უფლება ჩვენს ხელთ არის და გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით ყველა იმ ერისათვის, რომელიც ისტორიულ სამართლიანობაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებების და საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით ნათლად გამოხატავს თავის ნებას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ და თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს!

---

# სოციალ-დემაგოგია

ექლვნება გურამ მუჩაიძეს

სოციალური დემაგოგია ისევე ძველია, როგორც თვით საზოგადოება. საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობისთანავე უთუოდ მოინახებოდნენ ცალკეული პირები, ან მათი ჯგუფები, რომლებიც მეტნაკლები წარმატებით იყენებდნენ დემაგოგიას. თუ პროსტიტუციას კაცობრიობის ერთ-ერთ უძველეს პროფესიას უწოდებენ, მაშინ დემაგოგიას თამამად შეიძლება დავარქვათ პოლიტიკის ასევე ერთ-ერთი უძველესი მეთოდი.

პოლიტიკური პარტიები, ამ ცნების თანამედროვე გაგებით, ძველ საბერძნეთში არ არსებობდნენ. ერთი და იგივე მოღვაწენი ერთ სიტუაციაში ერთობლივად მოქმედებდნენ, ხოლო მეორეში ერთმანეთს ებრძოდნენ /გარკვეულწილად ეს დღესაც ასეა. მაგალითად, კოალიციებისა და ალიანსების წარმოქმნა—დაშლა/.

სოციალური დიფერენციაცია საზოგადოების გარკვეულ ფენებში შურსა და უკმაყოფილებას იწვევდა. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ის ფენები/უფრო კი მათი პოლიტიკური ხელმძღვანელები/ მიმართავდნენ დასჯის სხვადასხვა ფორმებს,- კონფისკაციებს, განდევნებს და ა.შ. ამგვარი პოლიტიკა შეძლებულ მოქალაქეებს შეთქმულებებისაკენ უბიძგებდა. მათი შიშით ხალხი თავისი ინტერესების დაცვის საქმეს /აღნიშნულ ვითარებაში - ხელისუფლების/ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ე.წ. ძლიერ პიროვნებას გადასცემდა. ეს პიროვნება, როგორც წესი, მდიდრების მტრად და დემოსის თავგამოდებულ მომხრედ წარმოჩინდებოდა ხოლმე. ამის შედეგად ვღებულობთ ტირანიას, რომელიც თავიდან ვალების გაუქმებით, მიწის გადანაწილებით და სხვა საშუალებებით პირმოთნეობს ხალხის წინაშე, ხოლო შემდგომ კი სასტიკად იმონებს მას/ყველა დემოკრატიულ უფლებათა გაუქმება, ანგარიშსწორება სხვაგვარად მოაზროვნეებთან, ომები, გადასახლება/

ამრიგად, ზემოთხსენებული დემაგოგები, ანტიკური ხანის ეს სოციალისტები, გზას უკაფავდნენ ტირანებს. ხშირად სოციალდემაგოგი და მომავალი ტირანი ერთი და იგივე პიროვნება ხდებოდა. ამგვარი რამ მრავალჯერ განმეორებულა მსოფლიო ისტორიაში. ამის მოწმეა თვით XX საუკუნე. აქ შეგვიძლია მარქსის ერთი ცნობილი გამოთქმის ერთგვარი პერიფრაზირება მოვახდინოთ, რომლის მიხედვითაც გამოვა რომ ყოველი სოციალისტური ექსპერიმენტი ფაქტობრივად მრავალგზის განმეორებული ფარსია. ამაზე მეტყველებს, როგორც უძველესი ისე უახლოესი ისტორიული გამოცდილებანი. ვფიქრობთ, ანტიკურ და თანამედროვე ეპოქებში ამგვარი ანალოგების ძიებას მხოლოდ გამოუსწორებელი ლენინისტები თუ დაგმობდნენ მისი გამონათქვამის -"არაფერი ისე არაა ბურჟუასათვის დამახასიათებელი, როგორიც თანამედროვე წესების ნიშან- თვისებათა გადატანა ყველა დროებასა და ხალხებზე-" შესაბამისად.

XIX საუკუნეში დართიანებულმა სოციალისტურმა იდეოლოგიამ ფართოდ გაშლილი სოციალური დემაგოგიის წყალობით XX საუკუნეში კაცობრიობას უმძაფრესი კატაკლიზმები მოახვია თავს. სამწუხაროდ, მათ ვერც ქართველი ერი ასცდა. უფრო მეტიც, სწორედ მათი გამოისობით იგი მეტად სავალალო დღეში აღმოჩნდა. უკვე ბევრი ითქვა, თუ რაოდენ დამღუპველი გამოდგა საუკუნის დასაწყისში ეროვნულის ნაცვლად სოციალური ბრძოლის პრიორიტეტი საქართველოსათვის. ამიტომ წარსულზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. მივხედოთ დღევანდელობას.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი საქართველოში აღინიშნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებითა და აღმავლობით. გლობალური ტენდენციის შესაბამისად სოციალისტური იდეოლოგია ჩვენთანაც პერმანენტულ დევალვაციას განიცდის და ტოტალური კრახისაკენ მიიქანება. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ სოციალური დემაგოგიის საფრთხე მაინც არაა თავიდან აცილებული. სოციალიზმი, ჩვენი ეპოქის ყველაზე საშიშროსწრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სნეულება, მრავალსახოვანია. ბოლშევიკური ვირუსის ჭვონიის ფონზე ჩვენში გამოცოცხლებას იწყებს სოციალ-დემოკრატიული ბაქტერია. 1989 წლის 11 ნოემბრის "ახალგაზრდა კომუნისტისათვის" მიცემულ ინტერვიუში თანამედროვე ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ- ერთი ორგანიზატორი ბ-ნი გურამ მუჩაიძე გვაუწყებს, რომ საზოგადოება, რომელიც ჩვენთანაა აშენებული, არაა სოციალისტური. ამასთან, მრავალ წინამორბედთა მსგავსად მაინც გვაიმედებს, რომ კომპარტიის ბაზაზე შექმნილი მისი პარტია "მოიცავს სოციალისტურ პრინციპებს და ააშენებს სოციალიზმს." ბიოგრაფიული ცნობა, რომელიც"ახკომშია"მოთავსებული წარმოაჩენს მას, როგორც ტიპიურ ნომენკლატურულსა და "თეორიული ფრონტის მუშაკს" /როგორც უწინ იტყოდნენ/. იგი საქართველოს ოკუპაციის 50-ე წლისთავზე შესულა კომპარტიაში და მიუხედავად სოციალ- დემოკრატიული ოპორტუნიზმისა, ეტყობა ჯერმდე არ გაურიცხავთ სკკპ რიგებიდან, როგორც მაგალითად, ვინმე ორენბურგელი პოლიტმუშაკი ნ.ტუტოვი, რომელიც ტალინში ამა წლის იანვარში სოციალ-დემოკრატიული ასოციაციის თანა - თავმჯდომარედ აურჩევიათ /დაწვრ.იხ.10/II-ის "კომსომოლსკაია პრავდა/. საინტერესოა რითი აიხსნება საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის ამგვარი უპრინციპობა ორენბურგის პარტორგანიზაციასთან შედარებით?! ანდა როგორ ავხსნათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის რეკლამირება კომუნისტური პრესით? ვითომ საჟაროობით? სოციალ-დემოკრატები ხომ აშკარად ემეტოქებიან კომუნისტებს, ლამის მათ პოლიტიკურ მესაფლავეებადაც მოაქვთ თავი. ცხადია, ყოველივე ეს არც ისე ძნელი გასარკვევია თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ ვის აძლევს ხელს სოციალისტური იდეის რეანიმაცია, თუნდაც რამდენადმე განსხვავებული ფორმით.

უკვე აღნიშნულ ინტერვიუში ბ-ნი მუჩაიძე ამბობს:"მმართველ პარტიას არა ჰყავს სერიოზული კონკურენტები...პარტიას მხოლოდ პარტია თუ დაუპირისპირდება. თუმცა ბევრი არაფორმალური ორგანიზაციაც იწოდება პარტიად, მაგრამ სინამდვილეში ისინი არ არიან პარტიები". მათ თურმე არ აქვთ გამოკვეთილი პროგრამები, განსაკუთრებით პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში / ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამულ პრინციპებს/. მათი პოპულარობა, მისი აზრით, ემოციებს ეყრდნობა, მეტიც, იგი კატეგორიული ტონით აცხადებს:"სერიოზული პოლიტიკური პლატფორმა მათ არა აქვთ". არაფორმალთა გარკვეული დამსახურების აღნიშვნის შემდეგ ბ-ნი სოციალ-დემოკრატის ინტერვიუ სულ უფრო პროვოკაციულ ხასიათს იღებს. დავუკვირდეთ, მის სიტყვებს:"თუმცა არაფორმალური სიტყვით უარყოფენ შეიარაღებულ ბრძოლას, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მოუფიქრებლად მოქმედებენ და იძლევიან საბაბს, რომ მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნას სამხედრო ძალა."სხვა რაღაა ეს, თუ არა სისხლიანი რეპრესიების გამართლება? ასეთ გამონათქვამებს დღეს საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრებიც კი ერიდებიან. შემდეგ, თანამედროვე წითელი პროფესიების ეს"გავარდისფერებული" წარმომადგენელი უკანონო საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთლისა და სხვათა რეაბილიტაციას მოითხოვს. ყოველი ქართველი პატრიოტის თვალში არსებული რეჟიმის მიმართ. პოლიტიკური დამნაშავეობა მხოლოდ ამაღლებს მათ. ჰკარას ვამბობთ ეროვნულ, გმირად შერაცხულ მერაბ კოსტავაზე. განა ისინი ნაკლებად ებრძვიან გარდაქმნის დროინდელ სოციალისტურ წყობილებას?!

ბ-ნი მუჩაიძის "ორიგინალობა" იქამდე მიდის, რომ იგი კომპარტიასაც არაფორმალურ ორგანიზაციად აცხადებს. კიდევ ერთი აღმოჩენა:"ყველა ისე რომ ცხოვრობდეს, როგორც, ვთქვათ შვეციაში, არავინ დააყენებდა საკითხს საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ". მისივე აზრით, დამოუკიდებლობა შესაძლებელი ყოფილა "კავშირის ჩარჩოებში". ამ და სხვა აზრების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ე.წ.საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ქართველი ერისათვის უმთავრესი სასიცოცხლო საკითხის- სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ აქვს საკმაოდ გამოკვეთილად კოლაბორაციონისტული, ფაქტობრივად მტრული დამოკიდებულება.

ეკონომიკის სფეროში ბ-ნი მუჩაიძე იმეორებს "უპლატფორმო არაფორმალთა" პრინციპებს: საბაზრო სისტემა, კონკურენცია, თავისუფალი მეწარმეობა და ა.შ. ამასთან, საინტერესოა რას გულისხმობს იგი "სოციალიზირებულ კერძო საკუთრებაში", რომლისგანაც თურმე განუყოფელი ყოფილა ე.წ.დემოკრატიული სოციალიზმი, რისკენაც ისწრაფვიან სოციალ-დემოკრატნი და ძმანი მათნი" / სხვათა შორის კომუნისტებიც/. სიტყვა "სოციალიზირებულს" თუ გადმოვაქართულებთ, განსაზოგადოებულს"ნიშნავს. თუ საკუთრება განსაზოგადოვდა, ის კერძო ვეღარ დარჩება, -ყოველ შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით,-ხოლო სოციალისტური თეორიებით კარგად ვიცით რანაირი "სასწაულების" მოხდენაა შესაძლებელი. ისე, სოციალისტურ პრაქტიკაში სოციალიზირებული საკუთრებიდან განკერძოებული შემოსავლების მიღება რომ ხერხდება პარტიულ- სამეურნეო აპარატში ყოფნით, ეს კი ვიცით.

ასევე ძრიად საინტერესოა, მკითხველთა გულუბრყვილობის რომელ კატეგორიაზე ამყარებს იმედს ამჟამინდელი ქართული სოციალ-დემაგოგია, როცა აცხადებს:"დემოკრატიული სოციალიზმის ნათელი მაგალითია თანამედროვე შვეცია". ნეტა რამდენი ფაბრიკა- ქარხანა ეგულებათ იქ მუშების ჯგუფურ საკუთრებაში? იქნებ აუცილებლობით ნაკარნახევი სამეურნეო სფეროს რომელიმე დარგის განსაზოგადოება სოციალიზმი? იქნებ ინგლისში მრეწველობის გარკვეული დარგების სოციალიზაციამ და სხვა თუნდაც ზოგიერთმა სოციალისტურმა ექსპერიმენტებმა არ მიიყვანეს ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციამდე ლეიბორისტული სოციალ-დემოკრატიის მონათესავე მმართველობის წლებში? განა სხვაგანაც, როგორც წესი, ე.წ. მემარჯვენე მთავრობები სოციალდემაგოგების მიერ დაშვებული ეკონომიკური შეცდომების გამოსწორებისათვის რივატიზაციის /წარმოებათა კერძო საკუთრებაში დაბრუნების/ მასტიმულირებელ პრაქტიკას არ იყენებენ?! დავუბრუნდეთ შვედეთს. იქ მართლაც, 30-იანი წლებიდან მოყოლებული, მცირე გამონაკლისის გარდა, მთავრობის სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა. შვედეთში უდავოდ ცხოვრების მაღალი დონეა. ცხადია, იქ ყოველთვის ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა იყო, რომელსაც ჩვენში კაპიტალიზმს უწოდებდნენ, ხოლო დასავლეთში ხშირად პოსტინდუსტრიულს. შვედეთის ეკონომიკური აღმავლობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა /თავისუფალი მეწარმეობისათვის ხელსაყრელი პირობები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რესურსების უნარიანი გამოყენება და ა.შ./, რომელთაგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ მას 175 წელია აღარ უომია და ორივე მსოფლიო ომში მეომარ მხარეებთან ვაჭრობით ოქროსა და ვალუტის დიდი მარაგი დააგროვა. მსხვილ შვედურ კაპიტალს ძირითადი საწარმოო ფონდების სისტემატური მოდერნიზაციის საშუალება ჰქონდა, რასაც ემატებოდა შრომის მაღალი კულტურა და ასევე მაღალი კვალიფიკაცია. სოციალ-დემოკრატიული სამთავრობო კაბინეტების მოსვლამდე შვედეთი უკვე წარმოადგენდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანას ინტენსიური სოფლის მეურნეობით, ხოლო 30-იანი წლებისათვის მას საკმაოდ საპატიო ადგილი ეკავა ევროპის ეკონომიკაში. მოსახლეობის რაოდენობით მე-15 ადგილზე მყოფ ამ ქვეყანას შემდეგი ადგილები ეკავა ევროპაში: ელექტროენერგიის წარმოება მე-7 /ერთ სულ მოსახლეზე მე-2/; თოლადის და თუჯის წარმოება- მე-9, მანქანათმშენებლობა მე-6 /გაჰქონდა წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტი/ და ეკავა მე-4 ადგილი იმ ხუთ ქვეყანას შორის, რომელთაც უფრო მე-

დასასრული მე-5 გვერდზე

დასასრული

ტი მანქანათმშენებლობის ნაწარმი გაჰქონდათ ვიდრე შემოჰქონდათ;ელექტროტექნიკა მე-7/იქსპორტში პროდუქციის საერთო/ საგარეო ვაჭრობის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე მე-8;სავაჭრო ფლოტის ტონაჟი მე-7; რკინიგზის სიგრძე მე-6 და ა.შ. აღარაფერს ვამბობთ შვედეთისათვის ისეთ ტრადიციულ დარგებზე, როგორიცაა რკინის მადნის მოპოვება, ხე-ტყის დამზადება, ცელულოზისა და ქაღალდის წარმოება,რომლებშიც ის თითქმის ლიდერი იყო.აღნიშნული დონის მისაღწევად შვედებს მარქსიზმი ნამდვილად არ გამოუყენებიათ და არც შემდგომში.სოციალ-დემოკრატების "დამსახურებად" შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების [illegible] საკმაოდ მაღალი დონე, რაც კაპიტალის ექსპორტისაკენ უბიძგებს შვედ მეწარმეებს/სხვათა შორის ამ საქმეში,მათ ერთხანს ინგლისელმა ლეიბორისტებმა აჯობეს, რის შედეგადაც ბრიტანელ მეწარმეთა,მეცნიერთა და სხვა მაღალშემოსავლიან სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა /უპირატესად ინგლისურენოვან/ ქვეყნებში გადაბარგდა თავისი კაპიტალითა და ინტელექტით.ამან გვარიანი ლახვარი ჩასცა ინგლისის სოცია-ლურ-ეკონომიკურ დონეს ინგლისური საქონლის კონკურენტუნარიანობას,პრესტიჟსა და საერთოდ ქვეყნის მთელ პოტენციალს.ცხადია დასავლური სამყარო ინგლისითა და შვედეთით არ ამოიწურება. სოციალისტური პარტიებმა [illegible] განიცადეს გერმანიასა და საფრანგეთში.რაც შეეხება აშშ-სა და კანადას, იქ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა [illegible]. [illegible] პრაგმატულ [illegible] სოციალურ დემაგოგიას [illegible]. ამ ვითარებაში არაერთმა დასავლურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ განიცადა საგრძნობი ტრანსფორმაცია, რათა პოლიტიკურ არენაზე შემორჩენილიყო.ზოგი სულ "გაბურჟუაზიულდა". როგორც ამას მათი მიმდე კომუნისტები იტყვიან, ზოგიც უფრო რადიკალური დემაგოგიის გზას დაადგა.ამჟამად კი თვით კომუნისტებსაც უჩნდებათ გარდასახვის სურვილი.ეს მკაფიოდ გამოჩნდა აღმოსავლეთ ევროპაში.საერთოდ, უნდა ითქვას,რომ პოლიტიკური ქამელეონიზმი სოციალური დემაგოგიის ზოგადი მახასიათებელია.საქართველოშიც მსგავს პროცესს ვაწყდებით.გასოციალ-დემოკრატებული კომუნისტები ცდილობენ დროის ძირითად ტენდენციებს მიეკედლონ,საზოგადოების პოლიტიზაციას მიეტმასნონ, ჯერ რეპუტაცია გაიმაგრონ,ხოლო შემდეგ სხვის ხელით გააკეთონ ეკალ-ბარდებში ია-ვარდი მოკრიფონ.დიახ, პოლიტიკური პარაზიტიზმი ტიპიური სოციალ-დემაგოგიის ძირეული ნიშან-თვისებაა,მისი შედეგის წყაროა,მისი ამპლუაც და კრედოც.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX-ის დასაწყისში სოციალისტური სენი საქართველოში თითქმის პირდაპირ ქუჩიდან შევიდა. ღარიბ აზნაურთა და წვრილ ბურჟუათა გათარეულმა ნაშიერებმა ჩამოიტანეს იგი რუსეთის მტვერთან ერთად.რუსეთსა თუ ევროპაში ადამისა და ევას გზებით დააცხრნენ ამ მათეის ახალსა და უცხო ხილს.მშობლიური ედემი ანაცვალეს უცხოტომელთა სამოთხეს.სამოთხეში შობილნი დამპყრობლის ტრამალებზე სხვა იდეოლოგიის გამწევ პირუტყვებად იქცნენ.თვით სამშობლოც იავარჰყვეს. მათგან ვაცბოროტებმა მრავალი ხალხი ნახირად აქციეს და უფსკრულის გზას გაუყენეს. ბლომად მიირთვეს სოციალიზმის იდეური სარეველა,სანამ 20-იან და 30-იან წლებში მუცლის გვრემა არ დაემართათ,ხოლო 50-იან წლებში ფაშვი არ გაუსკდათ და მაინც მეტნაკლებად ვაჟკაცები იყვნენ ეს გზააბნეულნი შვილნი საქართველოსი.სისხლის ოკეანე დაანთხიეს მათ, მაგრამ საკუთარი სისხლის ზღვაც ჩააქციეს მასში.დიახ,არცთუ ისე შემორჩენოდათ ვაჟკაცობა, ჭირგამოვლილნი იყვნენ,გადანასახლებნი,ნაციხარნი, ნაკატორღალნი. მაშინდელ სოციალ-დემაგოგებს ტყვიის წვიმებშიც შეეძლოთ გავლა და აბობოქრებულ ბრბოსთან სიტყვით შებმაც. ფოლადის დემონი კვეთდა და ლუნავდა მათ ნებას. კმარა მათზე. გადავხედოთ დღევანდელობას.ვინ შერჩა დღეს სოციალიზმის მოძღვრებას? თაბაშირის ფიტულთა გუშინდელი თაყვანისმცემელნი, სიცოცხლეშივე ხრწნად-ნაპატივარ გვამთა მაამებელნი,დაშმორების ეპოქის ყიყინა მწიგნობარ-ფარისეველნი.ამ უწინდელმა ლაქიებმა ოპოზიციონერობა დაუწყეს პატივცემულ ოქროჰამიას გომბეშოებს.ნეტავ ვის ატყუებს ინცენირებული "ჭაობის ბუნტით?" კომუნისტების მაშველი რგოლები ასეთი თანმიმდევრობით ლაგდება: პირველი -დამოუკიდებელი კომპარტია,მეორე -სოციალ-დემოკრატია, მესამე -სახალხო ფრონტი.

ახლა,ნატურალისტური გადახვევიდან კვლავ დავუბრუნდეთ ჩვეულ სტილს.რას წარმოადგენენ დღევანდელი სოციალ-დემაგოგები და როგორ მეთოდებს ირჩევენ ისინი? ან, როგორც ვლადიმერ ილიას ძე იტყოდა - რანი არიან დღევანდელი სოციალ-დემოკრატები და როგორ ებრძვიან ისინი ეროვნულ მოძრაობას? უნდა ითქვას, ისინი ერთგვარად მოუმზადებელნი შეხვდნენ საზოგადოებრივი აქტიურობის ამჟამინდელ ტალღას. მათმა წინამორბედებმა ქუჩიდან გაიკვლიეს გზა ხელისუფლებისაკენ ავტორიტეტის დეფიციტის პირობებში /დუბჩეკის კი არა, ილიესკუს ოდენა დისიდენტობის წარსული მაინც რომ ჰქონდეთ. თუმცა საქართველოს კომპარტიაში მსგავსი, ოდნავ მსგავსიც კი რამდენადაც ცნობილია არასდროს მომხდარა.

"ნაციონალ-უკლონისტები" დიდი ხანია ჩაბარდნენ წარსულს, ეს სარისკოა.ამიტომაც ნაცნობ გარემოში იწყებენ სოციალური კომფორტის დამუშავებას.ასე იჩეკება სალონურ-აუდიტორიული სოციალიზმი თბილისში. ცდილობენ, ხოგჯერ არცთუ წარუმატებლად, მოაზროვნე ახალგაზრდობის ნეოსოციალისტურ რელსებზე შეყენებას. არც მუშების დავიწყება უნდათ.იქნებ კიდევ გაგვაბრიყვებინონ თავიო. იმასაც ფიქრობენ, იგებ გლეხებიც ავიყოლიოთო. თუმცა გული ძალით ჯერაც არ ამუშავებულან,რადგან ზევიდან სანქცია ჯერ არ მოსულა. ახლანდელ სკკპ პლენუმზე გორბაჩოვის სიტყვის შემდეგ მთელი იმპერია მრავალპარტიულობის დაშვებაზე ალაპარაკდა.ეტყობა მალე მოუვათ დირექტივა. თუმცა თბილისურ პარტოკრატიას ხომ "დამოუკიდებელი კომპარტიის" ვარიანტი აქვს ჯერაც თადარიგში,ან იქნებ სულაც [illegible] გამოჩხრიკონ. [illegible] როგორი მომთმენი [illegible] გათელრიობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებში,რომლებშიც რაოდენ სიფრთხილეა ხოლმე საჭირო - კუს ნაბიჯებით დაშორებული ეტაპები; როგორი ელასტიურობა გვმართებს თურმე, რომელსაც ხშირად გადავურჩენივართ; როგორ უნდა გამოვიყენოთ მთელმა ერმა ბუნებით ნაბოძები დიპლომატობა,რომელსაც ასე ნიჭიერად ხმარობს ჩვენი თანამემამულე, იმპერიის დიდვეზირი; თანაც, ჩვენმა "სახალხო ფრონტმაც" ხომ კარგად იცის საქართველოს ცეკას ღვაწლი,მისი ეროვნული შემობზრიალება,ხომ კარგად უწყის ვინ გვჭირდება "რესპუბლიკის პრეზიდენტად"/თუ მოსკოვის რეზიდენტად/; თანაც, სხვადასხვა მოფრონტო ლოიალურმა ელემენტებმა და ღრმა ზურგის მებრძოლმა პატრიოტებმაც ხომ უნდა შეიტანონ თავიანთი მოკრძალებული წვლილი... არც მეტი არც ნაკლები "დამფუძნებელი კრების" შექმნაში?!

თუმცა ეს უკვე სხვა სახის დემაგოგიის სფეროს პრობლემებია,რომლებსაც სხვა დროს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

# რა ელის საბჭოთა იმპერიას 1990 წელს?

ვლადიმერ ბუკოვსკი -რუსული ემიგრაციის წამყვანი პოლიტოლოგი.

საბჭოთაში -"რუსეთი,ხომ არ მეორდება კვლავ 1905 წელი?"

გაზეთი "უოლსტრიტ ჟურნალი"

ახალი, 1990 წელი, საბჭოთა იმპერიისთვის იქნება იგივე, რაც 1905 წელი იყო რუსეთის ცარისტული იმპერიისათვის.

ბალტიისპირეთი დაუმორჩილებლობის მდგომარეობაშია; ამიერკავკასია მოცულია ეროვნული კონფლიქტებით;კომპარტია გახდა სრულიად უმართავი.ხელისუფლები მიმართავენ თეატრალურად თვალშისაცემ,თუმცა არაეფექტურ რეფორმებს,რაც დასავლეთის აღფრთოვანებას იწვევს. იმპერიის ხალხებს თავიანთი აწუხებთ:ნაციონალური გარეუბნები მოითხოვენ დამოუკიდებლობას, გლეხები მიწას, მუშები ხელფასის მომატებას,ინტელიგენცია და სტუდენტობა კი რევოლუციაზე ოცნებობს. იზრდება დამნაშავეობა. სულ უფრო ნათლად ჩნდება ქაოსის ელემენტები. ხალხი ღელავს -იმართება დემონსტრაციები,გაფიცვები და ა.შ. ასე იყო 1905 წელს და ასე არის დღესაც,1990 წლის ზღურბლზე.

ანალოგია ამით არ ამოიწურება:1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი კვირა უტოლდება 1989 წლის 9 აპრილს,მაგრამ არა პეტერბურგში, არამედ თბილისში. იაპონიასთან წაგებული ომი ძალზედ წააგავს ავღანეთში განცდილ კრახს.თვით "შავი ასეულიც" კი მეორდება დღეს "პამიატის" სახით.

საბჭოთა პარლამენტი კი რით განსხვავდება ცარისტული "დუმისაგან",რომელიც 1905 წელს შეიქმნა? დღევანდელი კამათი პარლამენტური გზის ირგვლივ, რომელიც გაჩაღებულია არაფორმალებს შორის,თითქმის იმავე ხასიათისაა,რასაც ადგილი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული რევოლუციონერების წრეებში ე.წ."ოტზოვისტების" და "ლიკვიდატორების" საკითხთან დაკავშირებით. მთავარი ანალოგია ჯერ კიდევ წინაა -ეს არის მუშების საყოველთაო გაფიცვა. 1905 წელს ეს გაფიცვა დაიწყეს ტიპოგრაფიის მუშებმა.მან მყისვე მიიღო პოლიტიკური ხასიათი და მიიზიდა სხვა დარგების მუშები.ყოველივე [illegible] გამოსვლების ჩახშობით და რეაქციის დაწყებით [illegible] ვორკუტის, კუზბასისა და დონბასის მაღაროებში. შეშინებულმა იმით, რომ [illegible] ხელისუფლებამ [illegible], მაგრამ კონფლიქტი ამით არ დამთავრებულა. [illegible] დროებით დააცხრობს მუშების მღელვარებას, გაზაფხულზე კი კვლავ მოხდება ვნებათა აღელვება ახალი ძალით და განმეორდება 1905 წელი.

მიმაჩნია, რომ 1990 წელი გახდება გარდაქმნის დასასრულიცა და რეაქციის დაწყების წელიწადიც. რეაქცია გამოწვეული იქნება მთავრობის,პოლიტბიუროს,უმაღლესი საბჭოს მხრიდან. გორბაჩოვის პიროვნებას, ამ მხრივ, არა აქვს მნიშვნელობა- საბჭოთა ხელისუფლება ერთიანია მრავალი სახით. მთავარია ის, რომ ამ ხელისუფლებას აქვს წინააღმდეგობის ჩახშობის ბევრად უფრო მეტი ძალა,ვიდრე ეს ჰქონდა ცარისტულ ხელისუფლებას 1905 წელს.

დღეს, რაკი საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი სწორედ დასავლეთის სიმპათიაზე და დახმარებაზეა გამიზნული, გორბაჩოვს სასწრაფოდ დასჭირდა შეხვედრა ჯორჯ ბუშთან და სურს მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოს დასავლეთთან ურთიერთობაში. ვიდრე დაიწყება რეაქცია საბჭოთა კავშირში,როგორც ეს პეკინის შემთხვევაში მოხდა,დასავლეთს შეუძლია მეტნაკლებად შეზღუდოს ურთიერთობა. ეს ყოვლად არასასურველი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ამიტომაც საბჭოეთი ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად შეკრას კვანძი დასავლეთთან. სწორედ ამით უნდა აიხსნას გორბაჩოვის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური კრიზისის ფორსირება.ვფიქრობ,არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ სწორედ გორბაჩოვის მითითებით გადადგა ხონეკერი და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობა.მოსკოვის თანხმობის გარეშე ასეთი რამ არ ხდება.უფრო მეტიც:უკვე ცნობილია,რომ გორბაჩოვი ჩავიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში,შეკრიბა პოლიტბიურო და არაორაზროვნად განაცხადა- საბჭოთა ჯარები არ დაიცავენ ჰონეკერის რეჟიმს.ეს კი არ უნდა ნიშნავდეს არაფერს იმის გარდა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობას გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

თუ საბჭოთა ხელისუფლება წავიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ესოდენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, მაშინ რას უპირებს იგი ბალტიისპირა რესპუბლიკებს? ბალტიისპირეთს უკვე მისცეს დამოუკიდებლობის გარკვეული სახე -ეკონომიკური დამოუკიდებლობა თავიანთი ვალუტის გამოშვების უფლებამდე, საგარეო წარმომადგენლობათა შექმნამდე და ა. შ. მათ მისცეს თითქმის ყველაფერი გარდა თვით ფიზიკური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მიმაჩნია,რომ კრემლი თანახმაა მიანიჭოს ამგვარი სტატუსი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც.ამ თვალსაზრისით მდგომარეობა კავკასიაში ბევრად უფრო აღრეულია,ვიდრე ბალტიისპირეთში. აქ პოლიტიკური კრიზისის განვითარება გართულებულია ერთაშორისი პრობლემებით. ისინი, რაღა თქმა უნდა ინსპირირებულია კრემლის მიერ, მაგრამ ბევრჯერ ინსპირირებული პრობლემა შემდეგ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს,რაც ბევრჯერვე ბუმერანგივით უბრუნდება მოსკოვს.

პრობლემა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის,რომელიც დაკავშირებულია მთიან ყარაბაღთან, გადაუჭრელია, ურთულესი ერთაშორისი პრობლემები არსებობს საქართველოში, რომლის გადაწყვეტასაც ჯერ ვერ ვხედავ.მიმაჩნია, ეს უნდა გადაწყვიტონ ისევ თვითონ კავკასიის საზოგადოებრივმა ძალებმა უცხო ძალების ჩარევის გარეშე.მათ უნდა შეიგნონ, რომ რაც უფრო დიდია ერთაშორისი დაძაბულობა, მით უფრო მცირეა შესაძლებლობა წარმატებით იმოქმედო ამჟამინდელ პოლიტიკურ კრიზისში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - რაც უფრო მშვიდი იქნება ვითარება ერთაშორის ურთიერთობებში, მით უფრო დიდი შანსი გამოიყენო არსებული მდგომარეობა მეტი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას საქ-ს ეროვნულ მოძრაობაში, ეს საკითხი შეიძლება ორგვარი გადაწყვეტით განვიხილოთ. ერთი -საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, მიუხედავად იმისა,თუ რა რეჟიმი დარჩება იმპერიაში, მეორე- საბჭოთა იმპერიის დემოკრატიული ძალების კონსოლიდირება იმპერიის სრული განადგურების მიზნით.და უკვე მის ნანგრევებზე ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა. ე.ი. მეორე გზა იგივეა,რაც იყო 1917 წელს - იმპერიის დაშლამ გამოიწვია დამოუკიდებელი ქვეყნების წარმოშობა,როგორც ბალტიისპირეთში,ისე ამიერკავკასიაში და სხვაგანაც. ამით კი ისევ ვუბრუნდებით ანალოგიას პირველ და მეორე რუსულ რევოლუციებთან და მას 1905 წელთან მივყავართ - იმ აზრამდე, რომ ახლანდელი კრიზისი არ არის საბოლოო და იგი არ დამთავრდება საბჭოთა ხელისუფლების დაცემით ან ხარისხობრივი ტრანსფორმირებით. მეორე მხრივ, იგივე ანალოგია გვაძლევს ოპტიმიზმის საბაბსაც რამეთუ იქნება კიდევ ახალი 1917 წელი.ამის მიზეზები ნათლად ჩანს და 1905 წელთან განსხვავებით, როდესაც რუსული ეკონომიკა ვითარდებოდა ძალიან სწრაფად, დღეს საბჭოთა ეკონომიკა ასევე სწრაფად ინგრევა. სწორედ ეს არის მღელვარების წყაროც. ამ თვალსაზრისით დღევანდელი საბჭოთა კრიზისი ბევრად უფრო ღრმაა ვიდრე ის, რომელსაც განიცდიდა ცარიზმი 1905 წელს.

წარმოვიდგინოთ, რომ იმპერიის ყველა ერის დემოკრატიულმა ძალებმა გადავწყვიტეთ ერთად ვიბრძოლოთ.საკითხავია:რა გზით, რისი გაკეთებაა საჭირო? ერთნი თვლიან,რომ აუცილებელია ბრძოლა კონსტიტუციური,პარლამენტური გზით, მეორენი კი პირიქით მოუწოდებენ საბჭოთა ე.წ. პარლამენტის და კონსტიტუციის ბოიკოტისაკენ.ვინ არის მართალი? ეს ისევ 1905 წლის ტიპიური სიტუაციაა. როცა კამათობენ "ოტზოვისტები" და "ლიკვიდატორები",მაშინ ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ლენინის ფედერალებით მიღებული იქნა ორივე გზა. „დუმა" გამოიყენებოდა როგორც ტრიბუნა პროპაგანდისთვის, თუმცა იგი არაფერს წყვეტდა.

## დემოკრატია საბჭოურად




თითქმის იგივე შეიძლება ითქვას სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც. ის ფაქტი, რომ გამოსვლები გადაიცემოდა ტელევიზიით,ამ ღონისძიების არაუმნიშვნელო /თუმცა ერთად-ერთი/ ღირსება იყო.ასე რომ,ჩემის აზრით ორივე გზა უნდა იყოს გამოყენებული.ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას შეიძლება ჰქონდეს საკმაო მნიშვნელობა, მაგრამ საჭიროა იმის გაგებაც,რომ თავისუფალი საპარლამენტო გადაწყვეტა სოციალიზმიდან დემოკრატიისაკენ გადასვლის პირობებში შეუძლებელია.მაშ როგორ, რა გზით შეიძლება განთავისუფლების,დემოკრატიის მიღწევა?რა თქმა უნდა,მე არა მჯერა რაიმე საყოველთაო აჯანყებისა და სხვა სისხლიანი გზების შესაძლებლობისა /მითუმეტეს,რომ საბჭოთა ხელისუფლებას ჩახშობის საკმარისი ძალა აქვს/, თანაც მეორეს მხრივ,არსებობს მასობრივი ძალისძიერი ბრძოლის ძალზედ ეფექტური ფორმები, როგორიცაა მაგალითად საყოველთაო გაფიცვა.

ბევრს ეშინია სოციალიზმიდან დემოკრატიისაკენ გადასვლის სიძნელეებისა. ჩვენი საუკუნის ერთმა ფილოსოფოსმა თქვა:"მთავრობის ამოცანა ის კი არ არის რომ შექმნას სამოთხე თავის ქვეყანაში,არამედ ის,რომ თავი აარიდოს ჯოჯოხეთის გაჩენას." არჩევანის საშუალება არ არის -თავისუფლებისაკენ გზა იქნება ძალზედ ძნელი და ამის შეგნება ძლიერ აძუხრუჭებს პოლიტიკურ განვითარებას ამ მიმართულებით. თავისუფლებისაკენ ეკლიანი და დახლართული გზის ალტერნატივაა ჯოჯოხეთი.

მინდა სათქმელი დავამთავრო კერძოდ ქართული ეროვნული მოძრაობისათვის [illegible] 1990 წლისათვის. 1990 წელს ქართულ ეროვნულ მოძრაობას [illegible] საბჭოთა იმპერიის სხვა ხალხების [illegible] მოძრაობებთან [illegible] განმტკიცებასა და გაფართოებას. მართლაც და, თბილისის 9 აპრილი შეიძლება გახდეს მხოლოდ რეპეტიცია იმ საშინელი "პროგრამისა" მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის წინაშეც ჩვენ უნდა ვიყოთ ერთიანი და შეკრული. ასეთ ვითარებაში ჩვენ, უბრალოდ,არა გვაქვს უფლება მივცეთ ხელისუფალთ შესაძლებლობა გამოიყენოს ძველი, ნაციონალური დავა, მტრობა და ცრურწმენა, რაც საფუძველია ყველა ეთნიკური კონფლიქტისა. დღეს, როგორც არასდროს,აქტუალურია ჩვენი წინააღმდეგობის ტრადიციული ლოზუნგი:"თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის!"

# საქართველოს თავისუფლების უკანასკნელი დღეები

## შულავერში მყოფ „საქართველოს ახალ მთავრობას“

დღეს წავიკითხეთ გაზეთებში შულავერში "საქართველოს ახალი მთავრობის" შედგენის შესახებ, ახალი მთავრობის მოწოდებაში ნათქვამია:

ხალხმა ვეღარ მოითმინა ამდენი ხნის მონობა, აჯანყება დაიწყო, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადის ეს აჯანყება, აჯანყებულები ძლე-ვამოსილად მიდიან ტფილისისა-კენ,-რეაქციის ბუდე ქალაქისა-კენ, მთავრობის ჯარები იარაღს ყრიან და უერთდებიან ამათ... შეიარაღდით ქართველო ხალხო, მუშებო და გლეხებო;გაინთავი-სუფლეთ თავი სამუდამოთ"...

ვინ ბრძანდება ამ ახალ მთავრობაში, რომელთაც ასე რი-ხიანად მოუწოდებს საქართველოს მშრომელ ხალხს?

ესენი ბრძანდებიან ფ.მახა-რაძე-ორჯონიკიძე-ორახელაშვი-ლები, რომელთაც საქართველოს დემოკრატია სრულად არ იცნობს და თუ იცნობს ისიც მცირეოდენი ნაწილი,იცნობს როგორც იდეურად და მორალურად გალატაკებულთ, როგორც საქართველოს მშრომელი ხალხის მოღალატეთ.

თქვენ ბრძანებთ, რომ უნდა გაათავისუფლოთ საქართველოს მუშები და გლეხები, რომლებიც დღეს აჯანყდნენ"ნოე ჟორდანიას მთავრობის დასამხობად" გყოფ-ნით ზნეობრივი გათახსირება ეს სთქვათ იმ დროს, როცა საქართ-ველოს "აჯანყებული" დემოკრა-ტია სასტიკათ ეკვეთა თქვენს მიერ ასეთი ყალბი ინფორმაციით მოტყუებულ, თვალებახვეულ ,შე-უგნებელ წითელ ბანდებს, რომ-ელთა მიზანი იყო დედაქალაქის განადგურება, მოსპობა,თიხქვიშ გათელა ყოველივე დიდი რევოლუ-ციის მონაპოვარი , რისთვისაც საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ ამოდენა სისხლი დაღ-ვარა!

მაგრამ თქვენ მას არ აკმა-რეთ ეს სისხლი, კიდევ მოინდო-მეთ ქართველი მშრომელის თბილ სისხლში ხელების გათბობა,ქურ-დულად,ვერაგულად დაეცით საქა-რთველოს დემოკრატიას თავს და გსურდათ მისთვის ზურგში სასი-კვდილო მახვილი ჩაგეკრათ.

არა,რას ფიქრობდით ამ დროს "წითელ ჟანდარმერიის" იდეურ-ათ ხელმძღვანელნო!"

ნუ თუ გეგონათ, რომ საქარ-თველოს მშრომელი კლასის სულს ისე ადვილად დაიპყრობდით, რო-გორც ძალით ეს შესძელით აზერ-ბეიჯანის და სომხეთის ხალხის დასამონებლად?!

მაგრამ ამ ქვეყნებში კი გაიმარჯვა თქვენმა იდეამ?არა-სოდეს, არსად არ გაქვთ თქვენ ნიადაგი: თქვენ ეს ხალხი დაი-პყარით ხიშტებით, თოფ-ზარბაზ-ნებით და აი ხომ ხედავთ დღეს, როდესაც დრო იხელთეს, როცა, თქვენი "წითელი ბანდები" სა-ქართველოს გასანადგურებლად დაძარით, სომხეთის მშრომელმა ხალხმა დაამხო თქვენი მთავრო-ბა, ასევე ხდება ყველგან,სა-დაც თქვენი უხეში ძალადობა და ვერაგობა სუსტდება!

ნუ თუ ეხლა,მაინც,როცა სა-ქართველოს მუშები და გლეხობა, რომლის სახელით თქვენ ბიდავ-დით ლაპარაკს,დაირაზმა თქვენს წინააღმდეგ, როცა საქართველოს გააფთრებული,გათვითცნობიერებუ-ლი დემოკრატია ლომივით ეკვეთა თქვენ "წითელ ბანდებს", ნუთუ ეხლა მაინც არ დარწმუნდით,რომ ჩვენ,.საქართველოს გლეხები და მუშები ვგმობთ თქვენს გაკოტ-რებულ იდეას, რომელმაც გაანა-დგურა, საარსებო უნარი მოუსპო რუსეთის მშრომელ კლასს?!

ეხლა ცხადია დარწმუნდით! მაგრამ გვიან!თქვენ უკვე შეი-წირეთ საქართველოს მშრომელთა რამოდენიმე წმიდა მსხვერპლი, რომლებიც გმირულად დეცენ თქ-ვენ "ჯართან"ბრძოლაში და რაც მეტი იქნება ეს მსხვერპლი, იცოდით მით უფრო მეტი იქნება ზიზღი,რისხვა,სიძულვილი საქა-რთველოს დემოკრატიისა თქვენ-დამი!...

იცოდით, რომ დადგა თქვენი აღსასრულის დრო,ისტორიამ ჩვენ გვარგუნა თქვენი სამარის გათ-ხრა და ჩვენ, როგორც ხედავთ, პატიოსნად,პროლეტარული სიძლი-ერით და შეგნებით ვასრულებთ ისტორიის მიერ დაკისრებულ ამ მოვალეობას.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადა-წყვეტილი არ დავყაროთ იარაღი, სანამ საბოლოოდ არ შევმუსრავთ თქვენს მსუნაგობას.ჯერ კიდევ ცოტა ხანს იტყუეთ თავი შულა-ვერში,იტყუეთ თქვენი ბრბოები, რომ საქართველოს დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილი ნოე ჟორდანიას მთავრობა დაეცა,ხა-ლხი აჯანყდა და სხვა.

იცრუეთ მანამ, სანამ საქა-რთველოს მუშისა და გლეხის ტყვია თქვენვე არ გაგიგმირავთ გულს წითელი რეაქციისა და იმ-პერიალიზმის იდეურათ ხელმძღვ-ანელნო," საქართველოს ახალი მთავრობის" წევრნო.

ეხლა დრო კი მალე იქნება.

აა, მოვდივართ!

იცოდეთ რომ ჩვენი პირით ლაპარაკობს საქართველოს მშრო-მელი კლასი- მუშები და გლეხო-ბა. დავშთებით მუდამ თქვენი მგმობელი და მტერი.

მუშა - გვარდიელი

გლეხი- ჯარისკაცი

ფრონტი 22 თებერვალი

## ერის ენთუზიაზმი

"მღელვარებავ! დაიძარ, აწ ფეხზე სდგეხარ".

ასე სთქვა მარკ ანტონიუსმა დიდებულ იულიუს კეისრის ცხედ-რის წინაშე, რომელიც გადაიშხ-ლართა პომპეის პიედესტალთან.

საქართველოს გულმა იფეთქა და თავისი გამხეცებული ისარი სტყორცხა დაუნდობელ მტერს.

ასე იცის ხალხმა დიდსულო-ვანმა:

წინაპრებით გახდიდებულმა და მომავლის იმედით აღვსილმა.

წარიტაცა სულმა. დიადმა მთელი საქართველო და აღსდგა მტარვალის დასამხობად. კიდით-კიდემდე გაისმის ქართველი ხა-ლხის ყიჟინა და საომარი ველი საქართველომ გადააქცია ქორწი-ლად.

დღის უხდა დაიდგას გვირგ-ვინი საქართველოს. შარავანდე-დით უნდა შეიმოსოს შუბლი მა-ღალი და გასწმინდოს თავისი ქვეყანა შემოსეული ურდოებისა-გან.

იშვიათია დღევანდელი დღე. ისტორიაში ეს მომენტი აღიბეჭ-დება ოქროს ასოებით და მის გმირებს დანატრებენ მომავალი თაობები.

გაუმარჯოს ამ დღეს! ქება და დიდება ქართველ გმირებს! ვაშა და გამარჯვება ჩვენ ძლევა-მო-სილ მხედრობას, დიდი პატივი საქართველოს ძლიერებას, მის შეიარაღებულ დიდ ძალას!

ერი აღინთო ცეცხლით, დიადი ენთუზიაზმით, ქართველი ადამი-ანის გულთან ხუნდებიან ყველა-ნი და გაცრეცილი მოსჩანს მტა-რვალთა ბუნება.

ქართველი ერის ექსტაზი დი-დებული რიტუალია.

მკვდრებით სდგებიან აჩრდი-ლნი გარდასულნი და თავს გვევ-ლებიან ლოცვა კურთხევით და გვეუბნებიან:

საქართველოს სიკვდილი არ უწერია. იგი იარსებებს მარად ჟამს. ქართველი ხალხის თესლი ღრმად არის განაყოფიერებული. მის ამოშრობას და გაქრობას ვე-რარა შესძლებს.

რაა თუნდაც დავმარცხდეთ? უხეში ძალა გაგვთელავს და ზედ გადაივლის ჩვენს სხეულზე,მაგ-რამ სული უკვდავია და მისი მოსპობა შეუძლებელია.

არა, ქართველი ერი არ და-მარცხდება. მისი მარჯვენა ნა-ცადია და პატარა ქვეყანა მდე-ვია თავისი თავდადებულ ლომკა-ცებით.

ერი აღფრთოვანებულია და მასში გაიღვიძა თავდაცვის ინ-სტინქტმა. ეს ინსტინქტი მოედო ყველას და მთელი საქართველო შეკუმშა ერთ სხეულად.მისი გა-ტეხა და გარდაქმნა აღარ შეიძ-ლება. ეს ბუნების წინააღმდე-გობა იქნება.

რას იტყვით თქვენ ხელმწი-ფენო, ძლევამოსილნო განათ-ლების და კულტურის მატარებელ-ნო, რას იტყვის თქვენი გონე-ბის აკადემია?

ქართველი ადამიანის ჭკუამ და ხმალმა გაიმარჯვა!

რას იტყვით თქვენ?

მაშ ეტყვით:

გამარჯობას და ვაშას საქა-რთველოს.

ჩვენც თქვენთანა ვართ.

ელის ამას საქართველო?

როგორც ღირსეული თქვენი თანამოზიარე და საერთაშორისო ოჯახის თანასწორი წევრი.

## სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა დაკრძალვა

თებერვლის 23-ს ქართველმა ერმა მიწას მიაბარა თავისუფალ სამშობლოსათვის დაღუპული გმი-რები:I.გ.ქარუმიძე,2.თუმანიშ-ვილი,3.ანანიაშვილი,4. თოიძე, 5.ახვლედიანი,6.იაკობაშვილი, 7.ჯიშკარიანი, 8.მ.მაყაშვილი, 9.დ.აბაშიძე,I0.ჩხეიძე,II.ზა-ნდუკელი,I2.ნიკ.სტურუა, I3. და I4. /უკანასკნელების გვა-რები ჯერ გამოურკვეველია/ და-კრძალვას დაესწრო მთელი ტფი-ლისი, მთავრობისა და დამფუძნ-ებელი კრების წევრები, უცხოე-ლების წარმომადგენლები, ჯარი-სა და გვარდიის ნაწილები.

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ კარ.ჩხეიძემ შე-მდეგი გამოსასალმებელი სიტყ-ვით მიმართა:

"დიდო გმირებო, მამულისათ-ვის თავდადებულნო! მოვედით აქ ყველანი რათა უკანასკნელად მუხლი მოვიყაროთ თქვენ წმინდა ცხედრების წინაშე.პატივი ვცეთ თქვენს ხსოვნას.

საიდან მოიპოვეთ თქვენ ეს გმირობა, ამოდენა ენერგია,სად არის წყარო თქვენი ცხოველი სულისა?

ეს არის ქართველ ხალხში, ერმა გადმოგცათ თქვენ სპეტაკი სული, მან ჩაგინერგათ მამულის სიყვარული.

ქართველი ერის იდეა იყო მუდამ უკვდავების იდეა.ქართ-ველმა ერმა ეს იდეა ათას წლო-ბით ატარა, ის შეიქმნა უკვდა-ვად.

მაგრამ ამ თავისუფლებისმო-ყვარე ხალხს მოევლინა მუხანა-თურად მტერი, რომელსაც სურს ერში ამოშრიტოს ეს ენერგია.

იცით ვინ მოუძღვის ამ მტერს? ქართველები, თქვენი თანამე - მამულენი!

ქართველ ერს არა ერთი და. ორი მოღალატე ახსოვს, მაგრამ ასეთი მოღალატენი კი არასოდეს

მაგრამ თქვენი გმირული სი-კვდილით დაუმტკიცეთ ამ მოღა-ლატეთ, რომ ქართველი ხალხი ეს განსახიერებაა უკვდავებისა,ის დაუშრეტელი შადრევანი.

როდესაც საქართველო საბო-ლოოდ გაიმარჯვებს მუხანათ მტერზე, თქვენი დიდ-სამშობლო მოვა თქვენთან, გულში ჩაგიკ-რავთ და უკანასკნელად კიდევ გეტყვით: უკვდავი იყოს თქვენი ხსოვნა!

შემდეგ, მებრძოლ სამხედრო ნაწილების სახელით მოკლე გა-მოსათხოვარი სიტყვით მიმართა დაღუპულ გმირებს და ქარცივა-ძემ, რომელმაც ფიცი დასდო,რომ ქართველი მხედრობა ბოლომდის გამარჯვებამდის მიიყვანს გმი-რულად დაღუპულთა მიერ დაწყე-ბულ საქმეს-იხსნის ერს ვერაგ მტრისაგან.

ხალხში გაისმოდა დაუსრულე-ბელი ქვითინი, ოხვრა,ზიზღი და აღშფოთება ვერაგ მტრისადმი.

## ფრონტზე

/გენერალური შტაბის ცნობა/

/თბილისი, თებერვლის 23/

22 თებერვალს ტფილისის მი-დამოებში ღამეს მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ საღამო ხანს შეხიშნულ იქნა მტრის მცირე რაზმის წინ სვლა ყარაიაზისა და საგარეჯოს მხრიდან.

კახეთში პარტიზანული ბრძო-ლა მტრის წინააღმდეგ ფართოვ-დება.

დარიალში მტრის იერიში მო-გერიებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მტე-რმა დიდი ძალებით შეუტია ჩვენს მოწინავე რაზმებს.ბრძო-ლა გრძელდება.

---

ამ რუბრიკით კვლავ გაშოვა ქვეყნებთ ისტორიულ მასალებს.

---

ამა წლის 20 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ მოსკოვში გორბაჩოვს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა

## МОСКВА ГОРБАЧЕВУ

23 февраля 1990 года 12 часов утра перед Домом ПРавителства Демократическая Партия Грузии начинает акцию в знак протеста против окупации Грузинской Демократической Республики 25 февраля 1921 года.

Исходя из того, что после окупации, предателями грузинского народа /смотрите постановление учередителного собрания от 21 фесраля 1921 года/ Грузия сепаратным договором 30 декабря 1922 года была введена в состав СССР и на територии Грузии было введено единое советское гражданство, что для нас идентично гражданству окупанта.

Мы,нижеподписавшиеся, требуем незамедлителного вывода нас из гражданства СССР.

А также отказываемся от госпошлины в размере 500 рублей.

ამ დეპეშას ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს თვითგამორკვეული მოსახლეობის ლიგის I70-ზე მეტმა წევრმა.

როგორც მოგეხსენებათ I989 წლის 30 დეკემბერს საქართველოს იმპერიაში შესვლის დღისადმი მიძღვნილ მიტინგზე საქართველოს დემოკრატიული პარტიის ინიციატივით "მთავრობის"სასახლის წინ,9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა მოსაგონარი ქვის გვერდით დადგმული იქნა I921 წელს კოჯორთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული მამულიშვილების მოსაგონარი ქვა.

იქვეიყო გამოცხადებული ჩვენი თხოვნა მოეწოდებინათ ყოველგვარი მასალები მათი ხსოვნის ნათელსაყოფად.

ჩვენს თხოვნას გამოეხმაურა ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი გელა სადუნიშვილი, მისი მოწოდებული ცნობებით პავლე იაკობაშვილს, საჩხერის რაიონის სოფელი ჩიხის მკვიდრს I920 წელს დაუმთავრებია იუნკერთა სასწავლებელი და ოფიცრის წოდება მიუღია. პირველი და უკანასკნელი შვებულება სოფელში გაუტარებია და დამშვიდობებისას უთქვამს:"ეს, ალბათ ჩვენი უკანასკნელი შვებულებააო".

იგი გენერალი კვინიტაძის რაზმში იბრძოდა და დაიღუპა 20 ან 2I თებერვალს 20 წლის ასაკში. თვითმხილველთა გადმოცემით იგი "წელზედ იყო გადაჭრილი ტყვიამფრქვევის ტყვიებისაგან".

კომენდანტის ცნობით 23 თებერვალს ძმათა სასაფლაოზე, სამხედრო ტაძრის გალავანში მოხდა პავლე იაკობაშვილის დასაფლავება დედაქალაქის დაცვის დროს გმირულად დაღუპულ სხვა I2 მამულიშვილთან ერთად.

როგორც ჩანს დასაფლავება დააჩქარა შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ.

---

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მიერ 23 თებერვალს დაგეგმილ აქციას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი შეშფოთებით შეხვდა და,როგორც ჩანს,სასწრაფოდ მიიღო კიდევაც ზომები. სუკის მარიონეტებმა სასწრაფოდ გაამძაფრეს ცილისმწამებლური კამპანია პარტიისა და მისი ლიდერებისადმი, დაიწყეს სდპ-ის პროკლამაციების ინტენსიური ჩამოხევა-განადგურება. ამასაც არ დაჯერდნენ და დაიწყეს ავტოკატასტროფების მოწყობა სდპ ლიდერებისათვის. I5 თებერვალს,რუსთავ-თბილისის ტრასაზე,დილის 9 საათზე, გადაბრუნდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის კუთვნილი ავტომობილი,რის შედეგადაც სერიოზული ტრამვა მიიღო ვაჟა მთავრიშვილმა. საჭესთან მჯდომი პარტიის წევრი გენადი უჩუმბეგაშვილი, ბედად,უვნებლად გადარჩა; ორი დღის შემდეგ, I7 თებერვალს,საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ვახტანგ ტალახაძე და პარტიის წევრი გელა ლუნწკიძე პარტიული დავალების შესრულების შემდეგ წითელწყაროდან ბრუნდებოდნენ. მოძრაობისას ავტომობილმა დაჰკარგა მართვა და გადაბრუნდა.

როგორც ავტომობილის გადასინჯვისას გამოირკვა, მოშლილი იყო სამართავი სისტემის გამწევი ღეროები.

ღვთის წყალობით მათ მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაჟეჟილობა მიიღეს.

---

პატივცემულო მკითხველო, გაზეთი "თავისუფლების" მე-20 ნომერში ტექნიკური მიზეზების გამო დაშვებული იყო შემდეგი შეცდომა: გენერალი კვინიტაძის ნაცვლად ეწერა გენერალი კვინტრაძე, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.

---

საქართველოს დემოკრატიულ პარტიას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

თბილისი 380008 რუსთაველის 27 /ლუნაჩარსკის 2/ ტელ. 99-00-25 საქართველოს დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინა.

---

ნომერი მოამზადეს: ალეკო ჩიტაძემ, ნუგზარ კვახაძემ რობერტ წიქარიშვილმა, ვაჟა მთავრიშვილმა,